ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 20 ივნისი, 2016 №144 (7070) ფასი: 50 თეთრი

ლევან ბერძენიშვილი: „ჩვენ ვაპირებთ, მინისტრები გვყავდეს ბოლომდე“

გვ.2

„პაატა ბურჭულაძეს პარტიაში აგენტურა ჩაუნერგეს“

გვ.2

„ბურჭულაძემ უნდა აჩვენოს, რომ დაზღვევის უნარი აქვს. თუ ვერ გამოავლინა ეს უნარები, შედეგიც შესაბამისი იქნება“

გია ხუხაშვილი: „პრეზიდენტის ლანძღვით ცდილობენ, ივანიშვილს აამონ“

„სააკაშვილი ყველაფერზე ნავა, ბოკერია უფრო ფრთხილია“

რა შანსები აქვთ ნაციონალებს

გვ.3

„მერაბიშვილის გამოშვება „ოცნების“ განადგურება იქნება“

გვ.4



შალვა ხაჭაპურიძე: „ბურჭულაძეს ისევე ებრძვიან, როგორც პატარკაციშვილს ებრძოდნენ“

ვინ არის „კანონიერი ქურდი“ სვანა

დეტალები კრიმინალური ავტორიტეტის თბილისში შემოსვლის შესახებ

გვ.4

ISSN 1987-9385

აფხაზებმა რომში კულტურის ინსტიტუტი გახსნეს

გვ.5

კან ტანია: „ჩვენ მიმართ დაინტერესება რომის პაპმაც გამოხატა“



მირიან მირიანაშვილი: „ნაცმოძრაობა ხელისუფლების გადაბარებაზე ჭორებს ავრცელებს“

გვ.3

„პაატა ბურჭულაძეს პარტიაში აგენტურა ჩაუნერგეს“

შორენა მარსაგიშვილი

გია ხუხაშვილი: „პრეზიდენტის ლანძღვით ცდილობენ, ივანიშვილს აამონ“

რატომ ტოვებს ხალხი პაატა ბურჭულაძის პარტიას, უნდა შეხვედროდა თუ არა მარგველაშვილი ბოკერიას, რის მიღწევას ცდილობენ მეოცნებეები პრეზიდენტის ლანძღვით, ვინ აფერხებს პარტია „ქართული ოცნების“ დაშლას? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

– თქვენ არაერთხელ განაცხადეთ, რომ პაატა ბურჭულაძის პარტია სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის „ოცნებასა“ და ნაციონალებს. ბოლო პერიოდში ეს პარტია რამდენიმე ადამიანმა დატოვა და თავად ამ პარტიას ხომ არ შეექმნა პრობლემები?

– როდესაც პოლიტიკაში შესასვლელად ასეთი მოკლე დისტანცია გაქვს, ბუნებრივია, პარტიის ფილტრაცია სერიოზული რისკების შემცველია. რამდენად სისტემური ხასიათი აქვს ამ ყველაფერს, ძნელი სათქმელია. ირაკლი გურჩიანი, რომელიც პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო, პოლიტიკოსი არაა. ის ბიზნესმენია და მის მიერ პარტიის დატოვება ჩემთვის არაფრის მთქმელია.

ნინო კუზანოვას შემთხვევა საერთოდ კურიოზული იყო, ან რას მიდიოდა პარტიაში და, თუ მიდიოდა, რაღას მოდიოდა. ეს მისი მხრიდან მსუბუქი კოსმეტიკური ნაბიჯი ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, სილიკონის პოლიტიკა იყო. არც მის წასვლას ვანიჭებ დიდ მნიშვნელობას. არსებული ფორსმაჟორიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ ეს პროცესი გაგრძელდეს.

– რაიმე ინფორმაცია გაქვთ?

– როდესაც პოლიტიკურ ბაზარზე შემოდის რეალური კონკურენტი, იქ პარტიები ყველა მეთოდს მიმართავენ მის დასასუსტებლად. ასეთ დროს არც სპეცსაშუალებების გამოყენებაზე ამბობენ უარს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ბურჭულაძის გუნდში აგენტურის მობილიზება მოხდეს, რომელიც საჭირო მომენტში პროცესებს კრიტიკულ ხასიათს მისცემს. ასეთი მეთოდები საქართველოში ხშირად გამოიყენება. როდესაც პარტიის შექმნა ასეთ მოკლე პერიოდში ხდება, დიდი ალბათობაა იმისა, რომ რეგიონებში პარტიის გახლეჩის პროცესიც ვიხილოთ. ოღონდ ეს იქნება ტექნოლოგიებით მართული და არა შიდა პრობლემებით განპირობებული.

პოლიტიკა ძალიან მძიმე და მკაცრი საქმეა, აქედან გამომდინარე, ლიდერს ამის დაზღვევის უნარები უნდა ჰქონდეს.

– აქვს ბურჭულაძეს ამის უნარი?

– მან უნდა აჩვენოს, რომ ამის უნარი აქვს. თუ ვერ გამოავლინა ეს უნარები, შედეგიც შესაბამისი იქნება.

– ხალხი ტოვებს პატრიოტთა ალიანსს. წამოვიდა ერთ-ერთი ლიდერი მანუჩარ მაჩაიძე. აქ რაღა ხდება, უთანხმოება სიის ფორმირებას მოჰყვა, თუ სხვა რაღაცასთან გვაქვს საქმე?

– პატრიოტთა ალიანსის შემთხვევა არაფრით არის გამორჩეული. წინასაარჩევნოდ ყველა პარტიაში მიდის კრისტალიზაციის პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ 4 წელი ქვეყანა მართეს, არჩევნების წინ კოალიცია „ქართული ოცნებაც“ კი დაიშალა. ის ვერ ასცდა ანალოგიური ტიპის სკანდალებს. შეგვიძლია არმაზ ახვლედიანისა და თამაზ მეჭიაურის მაგალითი გავიხსენოთ.

როდესაც პარტიის ლიდერი გადამწყვეტ სიტყვას არ ამბობს, შიდა წინააღმდეგობები დაპირისპირებას და გადაჯგუფებებს იწვევს. გამომდინარე იქიდან, რომ ბიძინა ივანიშვილი გააქტიურდა, „ქართულ ოცნებას“ ამ მიმართულებით ნაკლები სკანდალები ელოდება.

– ივანიშვილის გააქტიურებას დაემთხვა „ქართული ოცნებისა“ და მარგველაშვილის დაპირისპირების ახალი ეტაპი. გუნდი განსაკუთრებით იმით არის აღშფოთებული, რომ პრეზიდენტი გიგა ბოკერიას შეხვდა.

– პარანოიას ამას არ დავარქმევდი, მაგრამ „ქართულ ოცნებაში“ ძალიან სუბიექტურ გამწვავებას აქვს ადგილი. საამისოდ, ჩემი აზრით, საფუძველი არ არსებობს.

– არაფერი დაშავდა იმით, მარგველაშვილი ბოკერიას რომ შეხვდა?

– პრეზიდენტი გახლავთ ზეპარტიული ფიგურა და ის ქვეყანაში არბიტრის როლს თამაშობს. ის კონსტიტუციურად პოლიტიკურად მიკერძოებული ვერ იქნება. მოთხოვნის შემთხვევაში, პრეზიდენტი ვალდებულია, შეხვდეს ნებისმიერ პოლიტიკოსს, მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა მას ეს ხალხი.

– „ოცნებაში“ ეს ესმით, მაგრამ ეჭვობენ, რომ რადგან გიგა ბოკერიას დახურულს კარს მიღმა შეხვდა, ის შესაძლოა ნაციონალებთან თანამშრომლობდეს.

– მარგველაშვილი რომ ბოკერიასთან ფარულად თანამშრომლობს, ეს „ოცნების“ ზოგიერთი წევრის მიერ მოგონილი თემაა. ბოკერიასთან შეხვედრაზე გამახვილდა დიდი ყურადღება, მაგრამ პრეზიდენტი სხვა პარტიების წარმომადგენლებსაც ხვდება.

– ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს მართლა ხვდება, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ არასდროს შეხვედრია.

– მასთან შეხვედრაზე თავად „ქართული ოცნება“ ამბობს უარს. ბიძინა ივანიშვილის ეშინიათ, თორემ ინტენსიურად გამართავდნენ პრეზიდენტთან შეხვედრებს.

– ბოკერიასთან შეხვედრაზე გაამახვილეს ყურადღებაო და, თქვენი აზრით, შემთხვევითია, ამ შეხვედრას წინ სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება რომ უძღოდა? „ოცნებაში“ არ გამორიცხავენ, რომ მარგველაშვილმა შესაძლოა ვანო მერაბიშვილი შეიწყალოს.

– მერაბიშვილის შეწყალებაც გამოგონილი თემა მგონია. დარწმუნებული ვარ, მარგველაშვილი ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, რადგან ამან შესაძლოა არჩევნების წინ სიტუაცია დაძაბოს. მარგველაშვილი არ არის ის ადამიანი, რომელიც სიტუაციის დეტონაციას შეუწყობს ხელს.

მარგველაშვილისკენ ხელის გაშვერას სჯობია, „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური პასუხისმგებლობა იგრძნოს და იმ ხალხს მოსთხოვოს პასუხი, რომელიც სტრასბურის სასამართლოს ვერდიქტზეა პასუხისმგებელი. რატომ არ აკეთებენ ამას? ყველასთვის ნათელია, ვისი ბრიყვული მუშაობის შედეგია ეს განაჩენი. გამოკვეთონ და დასაჯონ.

„ქართული ოცნება“, როგორც ჩანს, ამ მიმართულებით არაფრის გაკეთებას არ აპირებს. ეს გუნდი მიეჩვია იმას, რომ სულ სხვისგან უნდა ითხოვდნენ რაღაცას, თავად კი კონსენსუსისკენ არცერთი ნაბიჯის გადადგმა არ სურთ. ეს პოლიტიკის ძალიან მანკიერი გაგებაა.

– რაღაც დროის განმავლობაში მათ პრეზიდენტთან კონსენსუსს მიაღწიეს.

– იყო ასეთი შემთხვევა, რაც პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის პირადი დამსახურებაა.

– ამ ბოლო ისტერიის ფონზე პრემიერსა და პრეზიდენტს შორის არსებული კონსენსუსიც გაქრება?

– კვირიკაშვილსა და მარგველაშვილს შორის პრობლემა არ არსებობს. გამომდინარე იქიდან, რომ პრემიერი მხოლოდ ფორმალური ლიდერია, მისი გუნდი პრეზიდენტს უპირისპირდება. მათთვის მთავარი ბიძინა ივანიშვილის სიტყვაა, რომელმაც რაღაც თქვა და ამას მოჰყვა მთელი კასკადი. სისულელეს სისულელეზე ლაპარაკობენ და ცეცხლზე ნავთს ასხამენ, შეთქმულების თეორიას ავითარებენ და ამტკიცებენ, რომ მარგველაშვილი ოპონენტებთან თანამშრომლობს.

– შეთქმულების ვერსიების განვითარებით მათ რა ხეირი უნდა ნახონ?

– ვერანაირ ხეირს ვერ ნახავენ. მათ ჰგონიათ, რომ რაც უფრო მწვავე განცხადებას გააკეთებენ მარგველაშვილის მისამართით, მით მეტად ასიამოვნებენ ივანიშვილს. იმასაც კი ვერ ხვდებიან, რომ ამ განცხადებებით პრეზიდენტს კი არა, საკუთარ თავს აზიანებენ. მათ საკუთარ ავტორიტეტზე გაზვიადებული წარმოდგენა აქვთ. სინამდვილეში, მათი ავტორიტეტი ძალიან დაბალია, თუ მინუსებშიც არ არის წასული.

– თავად ივანიშვილის ასეთ დამოკიდებულებას რითი ხსნით მარგველაშვილის მიმართ?

– ივანიშვილს აქვს თავისი პრინციპები. შესაძლოა, ეთანხმებოდე ან არა, მაგრამ მას მარგველაშვილის მისამართით აქვს პრეტენზიები. ამის მიუხედავად, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ ჰგონია, პრეზიდენტი ნაციონალებთან თანამშრომლობს. ეს პატარა ადამიანებმა, ეტყობა, კარგად ვერ გაიგონეს.

– ეს განცხადება ივანიშვილმა მანამდე გააკეთა, სანამ პრეზიდენტი ბოკერიას შეხვდებოდა.

– „ქართული ოცნება“ მარგველაშვილს ნაციონალებთან ალიანსს ბოკერიასთან შეხვედრამდეც აბრალებდა. ახლა ცდილობენ, სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებაც მას აჰკიდონ.

– „ოცნებაში“ სერიოზულად შიშობენ, რომ სტრასბურის სასამართლომ შესაძლოა გიგი უგულავასა და ბაჩო ახალაიასაც იგივე განაჩენი გამოუტანოს, რაც მერაბიშვილს. აქვს ამ შიშს საფუძველი?

– უგულავას შემთხვევაში მათი შიში ნამდვილად საფუძვლიანია. ყველას გვახსოვს 9-თვიანი ვადის დარღვევა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. ეს ხელისუფლებას უხერხულ მდგომარეობაში აგდებს.

ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს პროცესი როგორმე არჩევნებს არ დაამთხვიოს. არჩევნების წინ ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტილება კატასტროფა იქნება. როგორც ვატყობ, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანია ისევ სისხლიან 9 წელზე იქნება აგებული. ამ ვითარებაში მერაბიშვილის გამოსვლა ყველაფერს თავდაყირა დააყენებს და მათ პოლიტტექნოლოგიურ ტაქტიკას უაზროს გახდის.

ამ ფონზე პრეზიდენტზე შეტევა მათი მხრიდან უგუნურების კიდევ ერთი აშკარა გამოვლენებაა. შე კაი ადამიანო, როცა იცი, რომ პრეზიდენტზე რაღაც არის დამოკიდებული, თვითგადარჩენის ინსტინქტმა მაინც არ უნდა გაიძულოს, რომ ოდნავ კორექტული იყო და ასეთი სისულელეები არ ილაპარაკო?! ამ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ ზოგიერთი ლიდერი მყავს მხედველობაში.

– იქნებ სწორედ თვითგადარჩენის ინსტინქტი ალაპარაკებთ? თავად აღნიშნეთ, რომ ამით სურთ, ივანიშვილს აამონ და იქნებ ფიქრობენ, რომ პრეზიდენტის ლანძღვა მათ საარჩევნო სიაში ადგილს მოაპოვებინებს.

– თავად ასე ფიქრობენ, რომ საარჩევნო სიაში ასე დაიმკვიდრებენ ადგილს. მათ ავიწყდებათ, რომ ივანიშვილი არ არის ისეთი მარტივი ადამიანი, რომელსაც უხეშ მაამებლურ ქმედებაზე პირდაპირი რეაქცია ექნება. სამაგიეროდ, პატარა ადამიანებს აქვთ მოკლე გაგება და ისე მოქმედებენ, როგორც სამყაროს აღიქვამენ.

ლევან ბერძენიშვილი: „ჩვენ ვაპირებთ, მინისტრები გვყავდეს ბოლომდე“

– რესპუბლიკელი მინისტრები თანამდებობას დატოვებენ ან ჩვენი გადაწყვეტილებით, ან პრემიერის. ჩვენ ვაპირებთ. მინისტრები გვყავდეს ბოლომდე, – განუცხადა რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ბერძენიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის რიგგარეშე სხდომის შემდეგ.

როგორც ლევან ბერძენიშვილმა აღნიშნა, რიგგარეშე სხდომაზე იმსჯელეს რესპუბლიკური პარტიის მიერ რაიონებში მუშაობაზე.

– მინისტრები, ჩვენი აზრით, უნდა იყვნენ ბოლომდე. თავიდანვე ვთქვით 27 მარტს, როცა გადაწყვეტილებას ვიღებდით, რომ მინისტრები თანამდებობას დატოვებენ ან ჩვენი გადაწყვეტილებით, ან პრემიერის. ჩვენ ვაპირებთ, მინისტრები გვყავდეს ბოლომდე, – აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

თინა ხიდაშელი: „თავდაცვის სამინისტროს სარდაფებში ადამიანებს აღარ აწამებენ“

საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის განცხადებით, სამხედრო პოლიციელების მიერ სარდაფებში ადამიანების კვლა წლების განმავლობაში სავიზიტო ბარათი იყო.

ამის შესახებ ხიდაშელმა ჟურნალისტებს ვაზიანში განუცხადა, სადაც სამხედრო პოლიციის 25 წლისთავი აღნიშნეს.

– დღეს შეიარაღებული ძალების ან თავდაცვის სამინისტროს სარდაფებში ადამიანებს აღარ აწამებენ და არ კლავენ სამხედრო პოლიციელები. ეს შემიძლია გითხრათ სრული პასუხისმგებლობით. ეს იყო სამხედრო პოლიციის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი, სავიზიტო ბარათი წლების განმავლობაში. ეს არის ძალიან მძიმე მემკვიდრეობა, რომლის ტარებაც ამ ადამიანებს უწევთ, რომლებიც არაფერ შუაში არიან, რა თქმა უნდა და პატიოსნად ემსახურებიან საკუთარ საქმეს. ამიტომ ეს მემკვიდრეობა უნდა გვახსოვდეს, მას ვერაფერს ვერ ვუზამთ, მაგრამ გვახსოვდეს, როგორც საუკეთესო მაგალითი და გაკვეთილი იმისა, რა არ შეიძლება არასოდეს დაბრუნდეს ჩვენს ქვეყანაში, – განაცხადა ხიდაშელმა.

მედიანიუსი

ნოდარ ხადური: „პენსია პირველ ივლისს 180 ლარი გახდება“

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, პირველი ივლისიდან პენსიები 20 ლარით გაიზრდება. ამის შესახებ ფინანსთა უწყების ხელმძღვანელმა ტელეკომპანია პირველზე ინგა გრიგოლიას გადაცემაში სტუმრობისას ისაუბრა.

– პენსია პირველ ივლისს 180 ლარი გახდება, ხოლო სექტემბრიდან ის 216 ლარს მიაღწევს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პენსიონერებისთვის, – განაცხადა ხადურმა.

ამ დროისთვის პენსია 160 ლარს შეადგენს.

ნიუპოსტი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილი ყველაფერზე წავა, ბოკერია უფრო ფრთხილია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ნაციონალურ მოძრაობას წინასაარჩევნოდ სჭირდება ან თავისი სერიოზული წარმატება, ან ხელისუფლების მკვეთრი წარუმატებლობა.

– ბატონო ვახტანგ, ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ნაციონალურმა მოძრაობამ გააქტიურება დაიწყო, რომ პრეზიდენტმა შეიწყალოს, როგორც უფლებადარღვეული. ამაზე ააგებს თავის წინასაარჩევნო კამპანიას ნაციონალური მოძრაობა თუ, პირიქით, ეს წამგებიანი შეიძლება გამოდგეს მისთვის?

– ნაციონალურ მოძრაობას ჰაერივით სჭირდება ამ წინასაარჩევნოდ მნიშვნელოვანი წარმატება საშინაო თუ საერთაშორისო ასპარეზზე, ან ხელისუფლების ძალიან წარუმატებელი სვლა, რათა მომხრეების სრული მობილიზება კიდევ ერთხელ მოახდინოს.

არჩევნებამდე ვანო მერაბიშვილის საკითხის განხილვა პრეზიდენტის მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება. ამ შემთხვევაში პატიმრის შეწყალება მიბმული არ იქნება ზოგადად ადამიანის უფლებებთან და მის დაცვასთან. ეს იქნება პირდაპირ ნაციონალური მოძრაობის წისქვილისთვის წყლის დასხმა.

რა შანსები აქვთ ნაციონალებს

– რატომ?

– ნაციონალები იტყვიან, რომ პრეზიდენტზე მოხდა ზეწოლა მათი და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან და ის იძულებული გახდა, ეს ნაბიჯი გადაედგა.

აქვე უნდა ვთქვა, რომ „ქართული ოცნება“ და გოგა ხაინდრავა აანონსებენ დოკუმენტურ ფილმს „ცხრას პლუს ერთი“, სადაც საუბარია ნაციონალური მოძრაობის ცხრაწლიან მმართველობაზე. ფილმი მალე გამოვა. ამ დროს ეს ორი ფაქტი რა რეაქციას გამოიწვევს საზოგადოებაში, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

– ნაციონალური მოძრაობა მზად არის, ვაბანკზე წავიდეს?

– ნაციონალური მოძრაობა ორ ნაწილად უნდა გავყოთ.

1, თავად ნაციონალები, მაგალითად, სააკაშვილი, რომელიც ოდესაში იმყოფება, ყველაფერზე წავა, რადგან ის ქვეყნიდან არის წასული და საქართველოს მოქალაქეც არ არის. მისთვის პრობლემა არ არის, ვიღაცამ აქ ბუნტი მოაწყოს და მერე თვითონ გამარჯვების გვირგვინი დაიდგას.

2. გიგა ბოკერია, ალბათ, ყველაფერზე არ წავა. ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაშიც რომ იყო, მაშინაც ვერ წავიდა ყველაფერზე, თანაც „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზებული ამომრჩეველი ნაციონალურ მოძრაობასთან არ წავიდა.

საზოგადოებაში მხარდაჭერა რომ არ აქვთ, ისინი ამას გრძნობენ. ხმამაღლა რომ არ საუბრობენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვერ გრძნობენ, ნამდვილად გრძნობენ, თანაც ადამიანი, რომელსაც პროცესების რეგულირება და დაგეგმვა შეუძლია, ვგულისხმობ ადეიშვილს, უკრაინასაც ჩამოშორდა და თავისთვის არის ჩუმად.

– თუმცა გიგა ბოკერია წინასაარჩევნოდ ძალიან აქტიურია.

– ბოკერიას აქტიურობა ვერ სცდება საზღვრებს. ბოკერია ჭკვიანი კაცია, ანალიზის უნარი აქვს და მშვენივრად იცის, რა ფარგლებში უნდა ჩაეტიოს. გიგა ბოკერია არ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომ ხელისუფლებას დაპატიმრების საფუძველი მისცეს. დღეს მე ნაციონალებში ვერ ვხედავ ისეთ კაცს, რომელიც თავის თავზე აიღებს, მაგალითად, ადრე გავრცელებული ფარული ჩანაწერების იდეის ორგანიზებას.

არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილსა და ბოკერიას შორის ეს გახდეს დაპირისპირების მიზეზი. რა თქმა უნდა, ბოკერია მომხრე იქნება, რომ სიტუაცია დაძაბოს, მაგრამ მართვადი დაძაბვის მომხრე იქნება და არა – ქაოსურის. ხიფათი ნაციონალებში კი არ არის, მე სახიფათოს უფრო სხვაგან ვხედავ, რომ ამ პატარა დაძაბულობაში სხვა ლოკომოტივი ჩაებას და ამით ისარგებლოს.

მირიან მირიანაშვილი: „ნაცმოძრაობა ხელისუფლების გადაბარებაზე ჭორებს ავრცელებს“

მარიამ მჭედლიშვილი

მირიან მირიანაშვილმა, რომელმაც თავის დროზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დააფუძნა, ახალი პარტია, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობა“ ჩამოაყალიბა. მისი დამფუძნებელი ყრილობა 19 ივნისს გაიმართა. „ახალი თაობა“ მირიან მირიანაშვილს ესაუბრა.

– ბოლო დროს პარტიები სოკოებივით მრავლდება. „საქართველოს გადარჩენის მოძრაობა“ რითი განსხვავდება სხვებისაგან?

– იმის გამო, რომ ნაციონალური მოძრაობის დაბრუნების პროცესი ჭიანურდება, ახალი მოძრაობის შექმნა გადავწყვიტეთ. ჩვენ მრავალრიცხოვნებითაც გამოვირჩევით. სახელწოდებაში გადარჩენაზეა საუბარი. საქართველოს ბევრი მიზეზის გამო სჭირდება გადარჩენა. ამ გამომწვევებზე ადრეც მისაუბრია.

– ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ისევ ნაციონალურ მოძრაობასა და სააკაშვილს მიიჩნევთ?

– რა თქმა უნდა. ამ მხრივ უკეთესობისაკენ არაფერი შეცვლილა. საუბედუროდ, ქვეყანაში პოლიტიკურ დღის წესრიგს ნაციონალური მოძრაობა ქმნის. „ქართული ოცნება“ ან ზანტად რეაგირებს მოვლენებზე, რომლებსაც ნაცმოძრაობა იწვევს, ან საერთოდ არ რეაგირებს. ნაცმოძრაობა არჩევნების შემდეგ დიდი არეულობის მოწყობას აპირებს. ამისთვის მზადება უკვე მიმდინარეობს. „ქართული ოცნება“ ნაციონალების მიმართ პოლიტიკური დამბლის მდგომარეობაშია.

„ქართული ოცნება“ ნაციონალების მიმართ პოლიტიკური დამბლის მდგომარეობაშია“

– რა მზადებაზე საუბრობთ?

– ჭორების გავრცელებაზე. ნაციონალები ავრცელებენ ერთ საშიშ საინფორმაციო ვირუსს. ესაა ხმების დაყრა იმის შესახებ, თითქოს მზადდება ხელისუფლების გადაბარება.

– მართლაც, ვრცელდება ხმები, რომ შემოდგომაზე მოხდება ხელისუფლების ნაციონალებისათვის გადაბარება.

– სწორედ ამ ჭორზე ვსაუბრობ. იმისთვის, რომ გაიმეორონ 2003 წლის მოვლენები, ნაცმოძრაობას სჭირდება საზოგადოების მომზადება. პირველ რიგში, ხალხი უნდა დაარწმუნონ იმაში, რომ ისინი ბრუნდებიან ხელისუფლებაში და მეორე, რომ დასავლეთი არ მისცემს ხელისუფლებას რეპრესიების ჩატარების უფლებას. ეს საჭიროა საზოგადოების არამყარი და ნაკლებად ინფორმირებული ნაწილის დასარწმუნებლად, თორემ საბაზისო ელექტორატი თავის პოზიციაზე რჩება.

ეს მეთოდები ნაცმოძრაობამ გამოიყენა 2003 წელს. საზოგადოების გადმობირების ბოლო სტადიაზე, მაშინ ხალხი, გასამრჯელოს სანაცვლოდ, რეგიონებიდან ჩამოიყვანეს. მრავალრიცხოვანი მომხრეები სააკაშვილსა და მის გუნდს არც 2003 წელს ჰყავდათ, მაგრამ ტექნოლოგიების გამოყენებით ნაციონალები ხელისუფლებაში მოვიდნენ. მათი მიზანია, ახლაც დანერგონ საკუთარი თავისადმი ლოიალობა და უნდობლობა ხელისუფლების მიმართ.

– 2003 წელს ნაციონალები ასეთი დისკრედიტებული არ იყვნენ.

– ინფორმირებულ საზოგადოებაში სააკაშვილს კარგი სახელი არც მაშინ ჰქონდა. ახლა საუბარია არა იმაზე, რომ ნაცმოძრაობა ნდობას მოიპოვებს და ხელისუფლებაში მოვა, არამედ იმაზე, რომ ის არეულობას მოაწყობს. ასე რომ, არჩევნების შემდგომი მომავალი ფსევდორევოლუცია ახალ კონტურებს იძენს.

ბიძინა ივანიშვილმა ნაციონალებს კომფორტული პირობები შეუქმნა და ისინიც არ ჩერდებიან. ამას წინათ სააკაშვილი ნაცმოძრაობის ბირთვს უკრაინიდან ჩაერთო და დაუცაცხანა, ძილის მდგომარეობიდან გამოდით, გადამწყვეტი დრო დგებაო. სააკაშვილის სიტყვებით, ნაციონალური მოძრაობა ან ძალაუფლებას იბრუნებს, ან ქრება პოლიტიკური ველიდან.

– ნაციონალებისთვის არაკომფორტული პირობების შექმნა რა იქნებოდა?

– თუნდაც კანონის აღსრულება სააკაშვილის იმ თანაგუნდელების მიმართ, რომლებიც უკრაინაში საქმიანობენ. ეს დაახლოებით 150 კაცია. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიიღეს უკრაინის მოქალაქეობა, საქართველოს მოქალაქეობა მათთვის არავის ჩამოურთმევია. ნაციონალების მიერ გავრცელებული კიდევ ერთი ჭორის თანახმად, დასავლეთი ხელისუფლებას ნაცმოძრაობისთვის თითის დაკარებასაც კი უკრძალავს.

– არ იკვეთება, რომ ნაცმოძრაობის ჭორები მომხრეების რაოდენობას უზრდის?

– ამ ეტაპზე ისინი მრავალრიცხოვან აქციებს არ აპირებენ. ახლა მათი მიზანი ხალხში დაბნეულობის, შიშის დათესვაა. ადამიანების ნაწილმა ჭორების დაიჯერა. მაგალითად, ორი კვირის განმავლობაში ნოტარიუსს ვეძებდით, რომ პარტია დაგვერეგისტრირებინა. ბევრმა ნოტარიუსმა უარი გვითხრა.

– ეს ნოტარიუსები სააკაშვილის მომხრეები არიან?

– არა. როგორც ჩანს, მათ ჭორებს დაუჯერეს. ჰგონიათ, რომ ხელისუფლების გადაბარება მართლა იგეგმება და სააკაშვილის შიში აქვთ. პრობლემას ქმნის ის, რომ პრემიერ კვირიკაშვილს არ გააჩნია პოლიტიკურ და სხვაგვარ კრიზისში მართვის გამოცდილება. ივანიშვილმა რატომღაც მართვის სადავეები ახალი მემარჯვენეების ჯგუფს მიანდო. ნაციონალები მშვენივრად ახერხებენ იმ ძალების კონსოლიდაციას, რომლებიც „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ არიან განწყობილი. ზოგი ძალა მოსყიდული ჰყავთ.

ხელისუფლება ამის საპასუხოდ არ აერთიანებს ნაციონალების ოპონენტებს. ორჯერ შევთავაზე ხელისუფლებას უანგარო მოკავშირეობა. ამის სანაცვლოდ თანამდებობა და მანდატი არ მომითხოვია. ხელისუფლება ამაზეც არ რეაგირებს.

– თქვენ ხომ არ აპირებთ ნაციონალების ოპონენტების კონსოლიდაციას?

– ჩვენ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, თუმცა ჯობდა, ნაციონალების მოწინააღმდეგეების კონსოლიდაცია ხელისუფლებას მოეხდინა. ხელისუფლება ბერკეტების მფლობელია. მრავალმხრივ და სერიოზულ აქტიურობას ვაპირებთ, პირველ რიგში იმისთვის, რომ დესტაბილიზაცია არ დავუშვათ.

რუსთავი 2-ის გადამღებ ჯგუფს თავს დაესხნენ

19 ივნისს, გამთენიისას, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის გადამღებ ჯგუფზე თავდასხმა მოხდა. ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია ავრცელებს.

„კურიერის“ ჟურნალისტი ელენე ფირცხალაიშვილი და ოპერატორი გიორგი ცანავა აეროპორტის ტერმინალში საქართველოს პარლამენტის წევრებისაგან ინტერვიუებს იღებდნენ, რომლებიც ოფიციალური ვიზიტით სტრასბურში მიემგზავრებოდნენ. დეპუტატ ჩიორა თაქთაქიშვილის ინტერვიუს დროს მათ უცნობმა პირმა, ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი რუსთავი 2-ის ოპერატორს – ფიზიკური.

დეპუტატ ჩიორა თაქთაქიშვილის თქმით, სავარაუდოდ, თავდამსხმელის თანმხლები ქალბატონი მას დაუპირისპირდა და არ აძლევდა ტელეფონით ინციდენტის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალის გადაღების საშუალებას.

რუსთავი 2-ის ინფორმაციით, შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე, ცემის მუხლით დაიწყო. სამართალდამცველებს ჩვენება უკვე მისცეს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის თანამშრომლებმა. „კურიერის“ ინფორმაციით, დაკითხვაზე თავდასხმაში მონაწილე პირიც გადაიყვანეს.

რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ფიქრობს, რომ სახეზეა არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის დარღვევა, რომელიც ცემას გულისხმობს, არამედ ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა, რაც ასევე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულია.

– მოგიწოდებთ და მოვითხოვ მთელი გუნდის სახელით, დაუყოვნებლივ დააკავოთ ჟურნალისტსა და ოპერა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

„მერაბიშვილის გამოშვება „ოცნების“ განადგურება იქნება“

შალვა ხაჭაპურიძე: „ბურჭულაძეს ისევე ებრძვიან, როგორც პატარკაციშვილს ებრძოდნენ“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის სამართლებრივ და პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იურისტი, უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე აფასებს.

– ნაციონალები მოითხოვენ ვანო მერაბიშვილის გათავისუფლებას. როგორ ფიქრობთ, გაათავისუფლებენ?

– სხვა საქმეებიც არსებობდა ნაციონალების დროს, არსებობს და იარსებებს კიდეც, სადაც მე-5 და მე-18 მუხლის დარღვევებით სასამართლოს ჰქონდეს გადაწყვეტილება გამოტანილი, მაგრამ ეს არ ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ გაათავისუფლოს პირი პატიმრობიდან. უფრო მეტიც, სტრასბურში მოგებული საქმეები მინახავს, სადაც პატიმრებად რჩებოდნენ პირები.

– ანუ?

– ანუ ის, რომ საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ სტრასბურის სასამართლო არ არის ზემდგომი ინსტანცია. ის ადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევებს და აწესებს სანქციებს. ამ შემთხვევაში სანქცია იყო 4 ათასი ევრო და ადვოკატის მომსახურების თანხა. ეს აუცილებლად უნდა შეასრულოს სახელმწიფომ. თუ პრეზიდენტი გამოიყენებს მის უფლებამოსილებას და შეიწყალებს მერაბიშვილს თუ სხვას, ეს მისი ნებაა, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებაა და ამას წინ ვერავინ აღუდგება.

– ამ პროცესებს ბოკერიასა და მარგველაშვილის შეხვედრაც დაემთხვა. ვრცელდება ინფორმაციები, რომ მერაბიშვილთან დაკავშირებით ისაუბრეს. ამაზე რას ფიქრობთ?

– ბოკერიასა და მარგველაშვილს თუ უნდოდათ შეხვედრა, რამენაირად ისე შეხვდებოდნენ და ამ თემაზე ისე ისაუბრებდნენ, რომ კაციშვილი ვერ გაიგებდა. რაზე ილაპარაკეს, ნაკლებად მაინტერესებს! სტრასბურმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ პირისთვის პატიმრობის შეფარდება არ იყო დასაბუთებული. მორჩა, ეგ არის მთელი ამბავი. პრეზიდენტს ამას ბოკერია ეტყვის თუ პეტრიაშვილი, რა მნიშვნელობა აქვს! ბოკერიაც პოლიტიკური პარტიის ლიდერია და მას არ ჰქონდა უფლება, პრეზიდენტს შეხვედროდა?! თუმცა მეეჭვება, ამ თემებზე ესაუბრათ.

ჩვენ ყურადღების მიღმა გვრჩება თვითონ „ქართული ოცნება“ და ის ხელისუფალი, რომლებმაც ამდენი საბოტაჟით სიტუაცია მიიყვანეს იქამდე, რომ სტრასბურს გამოატანინეს ასეთი გადაწყვეტილება.

– ამით რისი თქმა გინდათ?

– იმის, რომ სახელმწიფომ წააგო სტრასბურში და ამის უკან ხომ იდგა ვიღაც?! პროკურორები, გამომძიებლები, მოსამართლეები. ეს საბოტაჟი იყო. და მივადექით მთავარ სათქმელს:

ვთქვათ, წინასაარჩევნოდ მერაბიშვილი გარეთ გამოუშვეს და ის გამოუშვა მარგველაშვილმა. ამ სიტუაციაში მარგველაშვილი იტყვის, რომ ეს გააკეთა იმიტომ, რომ სახელმწიფოს არ მისდგომოდა ჩრდილი, არ ჰყოლოდა პოლიტპატიმარი და ასე შემდეგ. მაგრამ სიტუაცია აქამდე ვინ მიიყვანა?! ვინ იძიებდა ამ საქმეს? ან გამომძიებელი ვინ იყო, ან მოსამართლე, ან პროკურორი?!

მოდით, პირდაპირ დავასახელოთ თეა წულუკიანი, არჩილ კბილაშვილი. სწორედ ეს შემადგენლობა იყო, როდესაც ვანო დააპატიმრეს და მისი საქმის გამოძიება მიმდინარეობდა! შედეგად მივიღეთ ვანო მერაბიშვილი – პოლიტპატიმარი!

გამოდიან ნაციონალები და ყვირიან, სამართლიანობა უნდა აღვადგინოთ, ვანო მერაბიშვილი გარეთ უნდა გამოვუშვათო და ამ დროს ვანო მერაბიშვილის უკანონოდ დაჭერილები ციხეებში იხოცებიან!

შეწყალების კომისიაც რომ არაფერს აკეთებს, ეს ქორიძე რომ დადის უცხოპლანეტელივით და საერთოდ წარმოდგენა არ აქვს, რა ხდება, ატყუებს პატიმრებს და ჭკუაზე არ არის! რა ჯანდაბად უნდათ ასეთი შეწყალების კომისია!

– წინასაარჩევნოდ ვანო მერაბიშვილის შეწყალება „ოცნებას“ არ დააზარალებს?

– პრეზიდენტმა თუ ვანო მერაბიშვილი გამოუშვა წინასაარჩევნოდ, სულ არ გამახსენდება ეგ შენი მარგველაშვილი! ვიტყვი, რომ ვაი თქვენს პატრონს „ოცნება“! ეგ არის თქვენი ბრძოლა და თქვენი სამართლიანობის აღდგენა?! ყველა ასე იტყვის, დამერწმუნეთ!

– ეს წამგებიანი იქნება მათთვის?

– წამგებიანი კი არა, გამანადგურებელი.

– მოაწერს ხელს მარგველაშვილი „ოცნების“ განადგურებას?

– ვერ გეტყვით. ძალიან რთული სიტუაციაა და პოლიტიკური პროგნოზის გაკეთება ძალიან ძნელია. სიტუაცია მძიმეა. ახალი მძიმე მოთამაშე შემოვიდა პოლიტიკაში. ჯერ გააქტიურებული არ არის, მაგრამ...

– ვის გულისხმობთ?

– პაატა ბურჭულაძეს.

– ბევრი არ მიიჩნევს სერიოზულ ძალად. თქვენ თვლით, რომ სერიოზული ძალაა?

– კი, მე ვთვლი, რომ სერიოზულია. დღეს აღარც „ოცნება“ ეხატება ხალხს გულზე და არც – ნაციონალები ანუ საჭიროა მესამე ძალა.

– ბურჭულაძეს ხან ერთის სატელიტობა ბრალდება და ხან – მეორის.

– ბრალდებები რომ იწყება, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ვიღაცისთვის საშიში ძალაა. თუ პარტია არ გაინტერესებს და იცი, რომ იმისგან საფრთხე არ მოგელის, არც შავ პიარს უგორებ და არც – თეთრს. ტარდება შიდა კვლევები, შიდა გათვლები და, როგორც ჩანს, პაატა ბურჭულაძეს საკმაოდ სერიოზული რეიტინგი აქვს, თუმცა ჯერ წინასაარჩევნო კამპანია გააქტიურებული არ არის და უკვე ვხედავთ, რაც ხდება.

– რა ხდება?

– თუნდაც ეს მისვლა პაატა ბურჭულაძესთან, მერე წამოსვლა. ეს ყველაფერი ბადრი პატარკაციშვილის შტაბს მახსენებს. მე ეს არ მგონია შემთხვევითი მოვლენები. კუზანოვა რომ აცხადებს, არ მომეწონაო, ან მანამდე რომელ პარტიაში იყო? რის მიხედვით გააკეთა შედარება? რა უნდა მოსწონებოდა?! რომელი პარტიის ისტორია აქვს შესწავლილი?! რას ელოდებოდა? რამ გაუცრუა იმედები?! არ ვამტკიცებ, რომ შეგზავნილი იყო, მაგრამ...

პატარკაციშვილის მთავარი შტაბის წევრი ვიყავი და ყველაფერი კარგად მახსოვს. იქაც ხდებოდა მსგავსი ფაქტები ანუ ოდიოზური ფიგურების შემოყვანა და მერე ისინი უცებ გაუჩინარდნენ. გამოცდილებაა, ეს ბოლო ვწონს და ვტოვებთ პარტიასო. ეს პოლიტიკური ტრიუკებია და, ვინც ამას აკეთებს, მინდა ვუთხრა: რამე ახალი გამოიგონეთ! აქ სხვა რამეა მთავარი...

– მაინც რა?

– ის, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკაში მოსვლიდან ოთხი წლის თავზე პოლიტიკურ ბაზარზე გამოჩნდა სერიოზული მოთამაშე.

– სულ იყო საუბარი მესამე ძალაზე ანუ ეს მესამე ძალა უკვე შეიქმნა?

– ბურჭულაძე შესაძლოა გახდეს პირველი, უარეს შემთხვევაში, მეორე ძალა. რაც შეეხება ამ ირონიულ განცხადებებს, რომ ბურჭულაძე მომღერალია და ასე შემდეგ, რომელი ამათგანი მყავს დაბადებით პოლიტიკოსი?! ვანო მერაბიშვილი პოლიტიკოსი იყო? სანტექნიკოსი იყო! აგერ მსახიობებითაა გადატენილი დღევანდელი პარლამენტი! კანონებს მსახიობებსა და მომღერლებს აღებინებენ!

ვინ არის „კანონიერი ქურდი“ სვანა

დეტალები კრიმინალური ავტორიტეტის თბილისში შემოსვლის შესახებ

ე.წ. კანონიერმა ქურდმა დავით გერლიანმა, იმავე „სვანამ“, ოდესიდან საქართველოში დეპორტაციის შემდეგ თბილისის საერთაშორისო აეროპორტი უპრობლემოდ დატოვა. ამის შესახებ ინფორმაციასა და ვიდეომასალას ტელეკომპანია რუსთავი 2 ავრცელებს.

ტელეკომპანიის მიერ გავრცელებული კადრების მიხედვით, უკრაინის აეროპორტიდან სამართალდამცველების თანხლებით დეპორტირებული ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტი თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან შეფერხების გარეშე გამოდის. მას აეროპორტში ქართველი სამართალდამცველები არ ხდებიან.

როგორ შემოვიდა უკრაინიდან დეპორტირებული კრიმინალური ავტორიტეტი დავით გერლიანი, იგივე „სვანა“, თბილისში და რატომ არ მოხდა მისი დაკავება შს სამინისტრო მიერ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გივი თარგამაძე დამატებით დეტალებზე საუბრობს.

– გერლიანი 1972 წელს სოხუმში დაიბადა და ის 2014 წელს თურქეთში კანონიერ ქურდად აკურთხეს. ამის შემდეგ რამდენჯერმე იყო რუსეთში დაკავებული. სხვადასხვა დანაშაულის გამო გერლიანს საპატიმრო დაწესებულებაში, საერთო ჯამში, მოხდილი აქვს 20 წელიწადზე მეტი. ის იმყოფებოდა უკრაინაში უკრაინული ყალბი პასპორტით, რომელიც დედის გვარზე, დავით ჩაჩიბაიაზე იყო გაცემული. მან უკრაინაში დაკავების დროსაც აღიარა კანონიერი ქურდობა. უკრაინაში შესაბამისი კანონმდებლობა არ არსებობს და, ამდენად, ის იქნა თბილისში დეპორტირებული.

არსებობს კადრები, როგორ განხორციელდა მისი ჩასმა თვითმფრინავში, მითითებული კონკრეტული დრო. შს სამინისტროსგან უნდა მომხდარიყო შესაბამისი მოქმედებები, რაც მისი აუცილებელი დაკავებით უნდა გამოხატულიყო. მან თბილისის აეროპორტი დატოვა ყოველგვარი შეფერხების გარეშე. დეპორტირებული ადამიანის მიღება ხდება შს სამინისტროს წარმომადგენლების მიერ. ამ შემთხვევაში მას არც არავინ დალაპარაკებია და დღეს ის იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. ნებისმიერი განმარტება იქნება შსს-ს მხრიდან მიუღებელი. სავარაუდოდ, ისინი იტყვიან, რომ ეს ადამიანი არის სხვა გვარის. მასზე ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს საქმე აღძრული. აქ დაირღვა დეპორტირებული ადამიანის მიღების წესი.

საქართველოს ხელისუფლება ბოლო კვირების განმავლობაში საქართველოს მიმდებარე ტერიტორიებზე ქურდული სამყაროს წევრების უპრეცედენტო კონცენტრირებას ახორციელებს. ასევე ხდება თბილისში საქართველოდან წასული კრიმინალური ავტორიტეტების დაბრუნებამოწვევა. შესაბამისად, ჩვენ გეგმაზომიერად ამ ინფორმაციებს გავაჟღერებთ. მინდა ვუთხრა ხელისუფლებას, მაშინ როცა მათ აღარ ჰყავთ ამომრჩეველი, ამომრჩევლის მაგივრობას კრიმინალური ავტორიტეტები ვერ გაუწევენ, – განაცხადა გივი თარგამაძემ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე.

ნიუპოსტი

დიმიტრი ქუმსიშვილი: „საქართველოში ქურდულ სამყაროსთან ურთიერთობაზე საკმაოდ მკაცრი კანონი გვაქვს“

– საქართველოში ქურდულ სამყაროსთან ურთიერთობაზე საკმაოდ მკაცრი კანონი გვაქვს, რომელიც კანონობს, – განაცხადა პირველმა ვიცეპრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა უკრაინიდან საქართველოში ე.წ. კანონიერი ქურდის, დავით გერლიანის, მეტსახელად „სვანის“, დეპორტაციის საკითხის კომენტირებისას.

დიმიტრი ქუმსიშვილს არ აქვს ინფორმაცია, მოხდა თუ არა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გერლიანის დაკავება, თუმცა დარწმუნებულია, რომ შესაბამისი უწყებები კანონის თანახმად იმოქმედებდნენ.

– ჩვენ საქართველოში, ქურდულ სამყაროსთან ურთიერთობაზე გვაქვს საკმაოდ მკაცრი კანონი, რომელიც კანონობს. აქედან გამომდინარე, მე ვარ აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო და შესაბამისი უწყებები მოახდენენ იმ რეაგირებას, რომელიც გაწერილია კანონით, რომ თუ პირი ქურდული სამყაროს მიმდევარია, მას აუცილებლად დააკავებენ საქართველოს ტერიტორიაზე, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

რუსთავი 2-ის გადამღებ ჯგუფს თავს დაესხნენ

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ტორზე თავდამსხმელი და კანონის მთელი სიმკაცრით აგებინოთ პასუხი. 125-ე ცემის მუხლი არ მიიღება. შეგახსენებთ, ინტერვიუს ჩაწერის დროს მოხდა ინციდენტი და, სხეულის დაზიანებასთან ერთად, მინიმუმ, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლაა, – წერს ნიკა გვარამია სოციალურ ქსელში და შს სამინისტროს მიმართავს.

შეგახსენებთ, რომ ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით დასჯადი ქმედებაა და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ვადით, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

მომხდართან დაკავშირებით რამდენიმე საათში შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო განცხადება გაავრცელა.

აი, რას ამბობს შსს:

2016 წლის 19 ივნისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია რუსთავის 2-ის გადამღებმა ჯგუფმა პროფესიული საქმიანობა დაასრულა, აღნიშნული ტელეკომპანიის ოპერატორ გიორგი ც.-ს მოქალაქე ალექსანდრე ს.-მ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და შემთხვევის ადგილს გაეცალა. გამოძიებით დადგინდა, რომ მას გიორგი ც. დაედევნა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც მათ შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება დაიწყო.

კონფლიქტის ადგილზე ამ დროს იმყოფებოდნენ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ჟურნალისტი და საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი წევრი. ამ უკანასკნელის განცხადებით, როდესაც იგი მობილური ტელეფონით ცდილობდა კონფლიქტის გადაღებას, ალექსანდრე ს.-ს თანმხლებმა ქალბატონმა თამარ ლ.-მ, პროტესტის ნიშნად მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. პარლამენტარმა სამედიცინო დახმარებაზე უარი განაცხადა.

სამართალდამცველებმა ცემის ფაქტზე 1970 წელს დაბადებული თამარ ლ. გამოავლინეს. რაც შეეხება გიორგი ც.-ს და ალექსანდრე ს.-ს, ორივე პირი გამოკითხულია და, წინასწარი მონაცემებით, მათ ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 125-ე მუხლით (ცემა) მიმდინარეობს.

◆ ◆ ◆

რუსთავი 2-ის ჟურნალისტი ელენე ფირცხალაიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ვიდეომასალას ეჭვის თვალით უყურებს.

მისი თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ გავრცელებულ ვიდეომასალას თან არ ახლავს აუდიოჩანაწერი, ის სრულიად ცვლის იმ რეალურ სურათს, რომელიც შემთხვევის ადგილზე მოხდა.

მისივე თქმით, ვიდეომასალა არ ასახავს ინციდენტის დაწყების მომენტს.

ჟურნალისტი ასევე აღნიშნავს, რომ სამუშაო პროცესში მათ მიუახლოვდა პიროვნება, რომელმაც მიაყენა შეურაცხყოფა, რის შემდეგადაც რუსთავი 2-ის ოპერატორმა ჰკითხა, თუ რას უკავშირდებოდა მისი ეს დამოკიდებულება. ელენე ფირცხალაიშვილის თქმით, ფიზიკური დაპირისპირება სწორედ ამ დიალოგის შემდეგ დაიწყო.

პირველი რადიო

აფხაზებმა რომში კულტურის ინსტიტუტი გახსნეს

შორენა მარსაგიშვილი

იტალია, მართალია, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს, მაგრამ ცხინვალსა და სოხუმსაც მოწყალე თვალით უყურებს, თან იმდენად მოწყალე თვალით, რომ ცხინვალელებმა რომში სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობა გახსნეს, ხოლო აფხაზებმა სულ ახლახან კულტურის ინსტიტუტის პრეზენტაცია მოახდინეს.

L'OSSERVATORE ROMANO

GIORNALE QUOTIDIANO POLITICO RELIGIOSO

Unicuique suum Non praevalebunt

Siamo tutti mendicanti

Lotta senza tregua per fermare l'Is

Prove di dialogo tra Stati Uniti e Venezuela

Udienza al primo ministro dei Paesi Bassi

Timori dell'Asean sulle acque contese nella regione

Nostre informazioni

კან ტანია: „ჩვენ მიმართ დაინტერესება რომის პაპმაც გამოხატა“

იტალიაში აფხაზეთისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებების წარმომადგენლები უკვე ოფიციალურ ვიზიტებში დადიან და ოფიციალურ შეხვედრებსაც მართავენ.

რამდენიმე თვის წინ რომში ცხინვალის პარლამენტის თავმჯდომარე ანატოლი ბიბილოვი იმყოფებოდა. ის იტალიელ დეპუტატებს შეხვდა. მათ პირობა დადეს, რომ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს პარლამენტის წინაშე დააყენებდნენ.

აღიარების მიმართულებით ჯერ არაფერი მოუმოქმედებიათ, სამაგიეროდ, სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობა გახსნეს. ეს ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო. ცხინვალის ხელისუფლება კი საპირისპიროს ამტკიცებს. მათ იტალიაში ოფიციალური წარმომადგენელიც ჰყავთ.

აპენინებისკენ მიმავალი გზა არც აფხაზებისთვის აღმოჩნდა რთული. როგორც აფხაზური მედია იუწყება, ამ დღეებში მარადიულ ქალაქ რომში აფხაზეთის კულტურის ინსტიტუტი გაიხსნა.

ინსტიტუტის გახსნას, რომელიც დიმიტრი გულიას სახელობისაა, ოკუპირებული აფხაზეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნები ესწრებოდნენ. მათ შორის იყვნენ აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა, მისი მოადგილე კან ტანია, საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი თენგიზ ტარბა და აფხაზეთის საგარეო უწყების წარმომადგენელი საფრანგეთში ჯემილე დიუნდარი.

კულტურის ინსტიტუტის გახსნის შემდეგ აფხაზური დიპლომატიის მამამ პრესკონფერენცია გამართა. იმავე დღეს ჩირიკბამ ასოციაცია „ევროპა-აფხაზეთის“ პრეზენტაციაც გამართა რომში.

აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განმარტებით, აღნიშნული ასოციაცია პირველი ორგანიზაციაა, რომელიც ევროპაში აფხაზური პასპორტების გამოყენებით დარეგისტრირდა.

აფხაზური დიპლომატიის მამა დარწმუნებულია, რომ მალე იტალიელები და აფხაზები დაკარგულ კავშირებს აღადგენენ.

– იტალიაში აფხაზეთის კულტურის ინსტიტუტის გახსნა პირველი ნაბიჯია იტალიისა და აფხაზეთის დაკარგული ისტორიული კავშირების აღსადგენად. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამ კულტურული დაწესებულების ნაყოფიერ შედეგს მალე ვნახავთ, – განაცხადა ვიაჩესლავ ჩირიკბამ.

მარადიულ ქალაქში აფხაზები ძალიან დატვირთული პროგრამით ჩავიდნენ. მათ მაინცდამაინც რომში მოინდომეს ახალი აფხაზური გაზეთის „აფხაზეთი დღეს“ პრეზენტაცია.

გაზეთი ოთხენოვანი იქნება და 3 თვეში ერთხელ გამოვა.

რომაული ვოიაჟით აფხაზები ძალიან კმაყოფილნი არიან. აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კან ტანიას თუ დავუჯერებთ, მათ რომის პაპიც კი დააინტერესეს.

კან ტანიას თქმით, ასოციაცია „ევროპა-აფხაზეთის“ პრეზენტაციას რომის პაპიც გამოეხმაურა და წმინდა პეტრეს მოედანზე გადაღებული ფოტოები და იმ გაზეთების სქრინშოტები გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია, რომ რომის პაპმა თავის მისასალმებელ სიტყვაში აფხაზეთიც ახსენა.

– წმინდა პეტრეს მოედანზე პაპ ფრანცისკს ვუსმენდი, რომელიც ასოციაცია „ევროპა-აფხაზეთი“ წარმომადგენლებს (ამ შემთხვევაში მე) მიესალმა. სასიამოვნო მოსასმენი იყო, პაპმა ჩვენი ქვეყნის, აფხაზეთის სახელწოდება წარმოთქვა, რის შემდეგაც გვერდით მდგარმა ჩემთვის უცნობმა პირებმა აფხაზეთზე კითხვები მომაყარეს. ეს ფოტო წმინდა პეტრეს მოედანზეა გადაღებული, სქრინშოტები კი იმ გაზეთებიდანაა, სადაც პაპის მისალმების სტენოგრამა გამოქვეყნდა, – წერს სოციალურ ქსელში აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

◆ ◆ ◆

საქართველოს საგარეო უწყებას თუ დავუჯერებთ, აფხაზების სიხარულს მალე შეეკვეცება ფრთები.

საქართველოს ელჩი იტალიაში კახა სიხარულიძე აცხადებს, რომ აფხაზური კულტურის ინსტიტუტს რომში ფუნქციონირების საშუალება არ მიეცემა.

კახა სიხარულიძის განმარტებით, საქმე ეხება კერძო პირების ინიციატივას, რომელსაც ოფიციალურ სტატუსი არ აქვს, რადგან იტალია განუხრელად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

იმედიანად არიან განწყობილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროშიც. უწყების მტკიცებით, რომში გახსნილ აფხაზური კულტურის ინსტიტუტს კავშირი არ აქვს იტალიის ოფიციალურ პირებთან.

– იტალია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. საქართველო და იტალია აქტიურად თანამშრომლობენ ევროკავშირის „არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის“ ფარგლებში. ყველაფერი, რაც წინააღმდეგობაში მოდის იტალიის ოფიციალურ პოზიციასა და ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობასთან, ტრადიციულად, დროულად აღიკვეთება ხოლმე იტალიის შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ, – განუცხადეს „ნიუპოსტს“ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

◆ ◆ ◆

კარგია, საგარეო უწყება ასე ოპტიმისტურად რომ არის განწყობილი. სანამ მათ ევროპელი პარტნიორების მიერ აღიარებული ტერიტორიული მთლიანობის იმედი აქვთ, აფხაზები და ოსები ევროპასთან ნელ-ნელა ამყარებენ კავშირებს.

„The National Interest“ (აშშ): ნატომ რუსეთის შევიწროება უნდა შეწყვიტოს

ამერიკული გამოცემა „The National Interest“ საქართველოსთან და ნატო-რუსეთის ურთიერთობასთან დაკავშირებით ანალიტიკოს ტედ კარპენტერის ვრცელ სტატიას აქვეყნებს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის შემოკლებულ ვერსიას თავისუფალი თარგმანით:

სტატიაში გაკრიტიკებულია ნატოს გადაწყვეტილება ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში და პოლონეთში დამატებითი სამხედრო ნაწილების განლაგების თაობაზე. პუბლიკაციის ავტორი ტედ კარპენტერი მიიჩნევს, რომ დასავლელი ლიდერები ყურადღებას არ აქცევენ იმას, თუ როგორ რეაქციას გამოიწვევს ეს ყველაფერი რუსეთის მხრიდან. „აშკარაა, რომ ნატოელებს სჯერათ, რომ ამით კრემლს დააშინებენ და მოსკოვი უკან დაიხევს. არადა, პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის პარანოიდალურ გარემოცვას რომ თავი დავანებოთ, დასავლეთის ანტირუსული მოქმედება უბრალო და სარად მოაზროვნე რუსებსაც კი შეაშფოთებს, რადგან საკითხი მათი სახელმწიფოს ინტერესებს და უსაფრთხოებას ეხება“, – აღნიშნულია სტატიაში.

სანამ რუსეთთან ნეგატიური დამოკიდებულება მეორე ცივ ომში არ გადაზრდილა, დასავლელმა ლიდერებმა მოსკოვთან თავიანთი დამოკიდებულება უნდა შეცვალონ. თუ პირველ ცივ ომში საბჭოთა კავშირი ბევრ რამეში ტყუოდა და დასავლეთი მართალი იყო, ახლა პირიქითაა – პასუხისმგებლობა უფრო მეტად შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს ეკისრებათ. სამწუხაროდ, დასავლეთი და უპირველესად ვაშინგტონი ჯიუტად არ თმობს მცირე პოზიციებსაც კი რუსეთთან ურთიერთობაში. ეს პოლიტიკა ორივე პარტიას – რესპუბლიკურ და დემოკრატიულსაც ახასიათებს – თუ ადრე რესპუბლიკელი ჯორჯ ბუშის დროს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი მწვავედ აკრიტიკებდა კრემლს, ახლა იმავეს აკეთებს დემოკრატ ბარაკ ობამას დროინდელი სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი. ისინი თეორიულადაც კი უარყოფენ გავლენის სფეროების ლეგიტიმურობას. კონდოლიზა რაისის დროს აშშ-ის ანტირუსული პოლიტიკის ბიძგად საქართველოსთან კონფლიქტი იქცა, ხოლო ჯონ კერისათვის – ყირიმის ანექსია.

ორივე პარტიაში არსებობს ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ რუსეთი აგრესიული ექსპანსიონისტური სახელმწიფოა. მაგრამ რა საფუძველი აქვს ასეთ მტკიცებას? ცივი ომის დროს მოსკოვს მესიანისტური გლობალური იდეოლოგია ასაზრდოებდა, დღევანდელ რუსეთში კი ასეთი რამ აღარ არის. გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირი აქტიურად ცდილობდა, თავისი გავლენა დედამიწის ყველაზე შორეულ კუთხეშიც გაერცელებინა, დღევანდელი რუსეთის გავლენის სფერო კი მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპით, ცენტრალური აზიითა და შავი ზღვითაა შემოფარგლული. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ რეგიონებს აშკარად აქვთ სტრატეგიული მნიშვნელობა რუსეთისათვის, თავდაცვითი განწყობის შემთხვევაშიც კი...

რასაკვირველია, რუსეთის ზოგიერთი გეოპოლიტიკური ნაბიჯი უხეშია და ხისტად გვეჩვენება. მაგალითად, ასეთი მოქმედება აშკარად გამოჩნდა (2008 წელს), როცა კრემლი სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობიდან გამოსვლაში დაეხმარა. იგივე შეიძლება ითქვას უკრაინის ყირიმის ანექსიისა და დონბასელი სეპარატისტებისადმი დახმარების მიმართაც. მაგრამ აქ ასეთი კითხვა უნდა დავსვათ: განა რუსეთის მიერ გადადგმული ნაბიჯები თავისი უხეშობით დასავლეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ჩამოუვარდება? განა სერბეთისაგან კოსოვოს ძალადობრივი გამოყოფა ნატოს დახმარებით იგივე არ არის? განა ნატოს წევრი თურქეთის მოქმედება კვიპროსის მიმართ რუსეთის მოქმედებას არ ჰგავს? არადა, თავისი უსაფრთხოების თვალსაზრისით, რუსეთს, სხვებთან შედარებით, ამგვარი ნაბიჯების გადასადგმელად უფრო მეტი სერიოზული საფუძველი აქვს.

ამერიკელებმა საკუთარ თავს უნდა ჰკითხონ, როდიდან გახდა შეერთებული შტატების უსაფრთხოებისათვის საჭირო ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ბედი? ანდა რატომ მიიჩნევს ვაშინგტონი (რუსეთის მოსაზღვრე) საქართველოს და უკრაინას თავისი ინტერესების სფეროდ? საქმე კი იმაშია, რომ დღეს ჩვენ მათი უსაფრთხოების საკითხი ისეთ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ მზად ვართ, რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციისა და უფრო მეტი – სრულმასშტაბიანი ომის რისკზეც კი წავიდეთ. რა შედეგები ექნება ბირთვული არსენალის მქონე რუსეთთან ომს, ცხადია. ასე რომ, ამგვარი პოლიტიკის გატარება უაზრობაა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამდე და სხვა პერიოდებშიც, რუსეთის იმპერიის არსებობის ჯამს, ეს ქვეყნები მოსკოვის პირდაპირ დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ. მაგალითად, სანამ სკკპ გენმდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი 1954 წელს ყირიმს უკრაინას გადასცემდა, მანამ ეს ნახევარკუნძული რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა – 1783 წლიდან. იმ დროს შეერთებული შტატებისათვის ამ რეგიონს აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაშ, რატომაა დღეს მნიშვნელოვანი? გასაგებია, რატომაც: რუსეთი დასუსტებულია, მოსახლეობა კლებულობს, უამრავი ეკონომიკური პრობლემა აქვს, შესაბამისად, ახლა ამერიკას და მის მოკავშირეებს კონფრონტაციაზე წასვლა შეუძლიათ...

ის დიდი სახელმწიფოები, რომლებსაც ჭკვიანი ლიდერები ჰყავთ, პატივისცემით ეპყრობიან სხვა დიდი სახელმწიფოების უსაფრთხოების ზონებს და გავლენის სფეროებს. გეოგრაფია მნიშვნელოვანი ფაქტორია. არცერთ დიდ ქვეყანას არ მოეწონება, როცა სხვა სახელმწიფო მის უშუალო გეოგრაფიულ არეალთან ახლოს რაღაც სამხედრო სამზადისს იწყებს. აბა, წარმოვიდგინოთ აშშ-ის რეაქცია, როცა ჩინეთი ან ინდოეთი კარიბის ზღვის ზონაში ან ცენტრალურ ამერიკაში კლიენტ ქვეყანას (მოკავშირეს) გაიჩენენ და იქ სამხედრო კონტინგენტის განლაგებას შეეცდებიან.... ჩვენ სრულიად სამართლიანად ჩავთვლით ასეთ მოქმედებას საფრთხის შემცველად და შესაბამის რეაგირებას მოვახდენთ. მაშ, რატომ გვგონია და ვფიქრობთ, რომ რუსეთმა წყნარად უნდა შეხედოს, ან ყურადღება არ უნდა მიაქციოს ნატოს მოქმედებას ბალტიისპირეთსა და შავ ზღვაზე? აშკარაა, რომ დასავლეთის დღევანდელი პოლიტიკური კურსი ტრაგიკული ინციდენტების გამომწვევი შეიძლება გახდეს.

◆ ◆ ◆

ტედ კარპენტერი არის აშშ-ის კატონის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. იგი „ნეიშენელ ინთერესთის“ რედაქტორიცაა, ავტორია მრავალი წიგნისა და გამოკვლევისა საერთაშორისო პრობლემებზე.

ნიუსპრესი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ ნონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

პრეზიდენტმა და ინტერპარტიულმა ჯგუფმა სამუშაო ჯგუფი შექმნეს

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა და ინტერპარტიულმა ჯგუფმა საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე მსჯელობისთვის სამუშაო ჯგუფი შექმნეს. სამუშაო ჯგუფის შექმნა გიორგი მარგველაშვილისა და ინტერპარტიული ჯგუფის შეხვედრაზე გადაწყდა, სადაც საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები და სარეკლამო დროის ახლებურად გადანაწილების საკითხი განიხილეს. სამუშაო ჯგუფი წინადადებებს მოამზადებს, რომლებსაც ხელისუფლებას წარუდგენს.

– ჩვენ არგუმენტაცია მოვისმინეთ, აბსოლუტურად მუშა და საქმიან ვითარებაში განვიხილეთ ყველა წინადადება, შევქმენით სამუშაო ჯგუფი და უახლოეს მომავალში ჩვენ დავსხდებით, ვიმუშავებთ გარკვეულ წინადადებებზე და ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ შემთხვევაში მმართველი ძალა უფრო მეტი გულისყურით და პასუხისმგებლობით მოეკიდება ამ საკითხებს, – განაცხადა პრეზიდენტის მრჩეველმა პოლიტიკურ საკითხებში ფიქრია ჩიხრაძემ და კითხვაზე, განიხილება თუ არა პრეზიდენტის მხრიდან ვეტოს დადების საკითხი, აღნიშნა, რომ გამორიცხული არაფერია.

სარეკლამო დროის ახლებურად გადანაწილებას ინტერპარტიული ჯგუფი არ ეთანხმება. არასაპარლამენტო ოპოზიციის განმარტებით, უფასო სარეკლამო დროის 11 პარტიაზე გადანაწილებით მათთვის გამოყოფილი უფასო სარეკლამო დრო მნიშვნელოვნად შემცირდება.

საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები პარლამენტმა ორი მოსმენით უკვე მიიღო.

მედიანიუსი

სამართლიანობისათვის ბრძოლა

საქართველოს საზოგადოების ლიდერს – ბატონ ბიძინა ივანიშვილს
საქართველოს პრეზიდენტს – გიორგი მარგველაშვილს
საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს – გიორგი კვირიკაშვილს
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – ბატონ დავით უსუფაშვილს
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს – ქალბატონ ნინო გვენეტაძეს
საქართველოს სახალხო დამცველს – ბატონ უჩა ნანუაშვილს
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს – ბატონ გიორგი მღებრიშვილს
საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის უფროსს – ბატონ ვახტანგ გომელაურს
საქართველოს მთავარ პროკურორს – ბატონ ირაკლი შოთაძეს
საქართველოს იუსტიციის მინისტრს, პროკურორთა საბჭოს თავმჯდომარეს – ქალბატონ თეა წულუკიანს
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს – ბატონ ზაზა ხატიაშვილს

პატივცემულო საზოგადოებავ, პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

იძულებული ვარ მოგმართოთ და თქვენი ზედამხედველობით საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე დავაყენო ერთ-ერთი სერიოზული განცხადება-შუამდგომლობა.

ფაქტი პირველი:

2015 წლის 10 სექტემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელმა (არაუფლებამოსილმა პირმა) – გიზო გიგანმა გამოძიება დაიწყო ზაზა ფიფიას თითქოსდა ცემის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილის კვალიფიკაციით. იმავე დღეს მოწმის სახით დაკითხა ზაზა კემულარია, რომელმაც დაკითხვისას გამომძიებელს განუცხადა, რომ იგი ზაზა ფიფიას შეხვდა 10 სექტემბერს ზუგდიდის ინფექციურ საავადმყოფოში. ურთიერთშელაპარაკებისას, როგორც შემდგომში დაზარალებულად ცნობილი ზაზა ფიფია განმარტავს, მას ზაზა კემულარიამ მუშტი დაარტყა ერთხელ სახის არეში. ხოლო ზაზა კემულარიამ მოწმის დაკითხვის ოქმში მიუთითა, რომ მას ზაზა ფიფიასათვის ხელი არ დაურტყამს, რადგან მათ შორის ჩადგნენ გამომძიებისათვის დაუდგენელი პირები, რომლებმაც არ დაუშვეს, რომ მათ ერთმანეთისთვის მიეყენებინათ ფიზიკური შეურაცხყოფა.

გამომძიებამ ვერ დაადგინა მთავარი საკითხი, მიაყენა თუ არა ზაზა კემულარიამ ზაზა ფიფიას ფიზიკური შეურაცხყოფა. მიუხედავად ამისა, ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ ქეთევან ყიფიანის მიერ ზაზა კემულარიას 2015 წლის 25 სექტემბერს ზაზა კემულარიასათვის წაყენებული ბრალი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „ზაზა კემულარიას ბრალი ედება მასში, რომ მან ჩაიდინა ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, რაც გამოიხატა 2015 წლის 10 სექტემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარში მდებარე შპს „ზუგდიდის ინფექციურ საავადმყოფოში“ ზაზა კემულარიამ ზაზა ფიფიას ურთიერთშელაპარაკებისას ზედა ტუჩის არეში დაარტყა მუშტი, რითაც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და გამოიწვია ზაზა ფიფიას სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის მოუშლელად, ე.ი. მან ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კვალიფიკაციით 125-1“. საქმე გადაიგზავნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში 2015 წლის 13 ოქტომბერს არსებითად განსახილველად.

პატივცემულო ხელისუფალნო, პატივცემულო საზოგადოებავ!

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ მსჯავრი დაედო უდანაშაულო პირს, ზაზა კემულარიას, გამოძიების სტადიაზე შეკრებილ მასალებში არსებულ მტკიცებულებათა გარეშე, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ აღნიშნულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული. კერძოდ, ქმედება, რომლის ჩადენაშიც ბრალი ედება ზაზა კემულარიას, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადასტურებული არ არის. მაგრამ დადასტურებულიც რომ იყოს, ის დანაშაულს არ წარმოადგენს (მხედველობაში გვაქვს მუშტის ერთხელ დარტყმით ზ. ფიფიასათვის ტკივილის მიყენება სსკ 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის გარეშე). მაგრამ გარდა ქმედების არასწორად დაკვალიფიცირებისა, არის კიდევ ორი სისხლის მატერიალურ და პროცესუალურ ნორმათა უხეში და მძიმე დარღვევა. მათ შორის პირველი და, ალბათ, უკანასკნელი ის არის, რომ ზაზა კემულარია მსჯავრდებულია არა ბრალდების მხარის – პროკურორის მიერ ჩამოყალიბებული ბრალდების საფუძველზე, არამედ მისი ბრალდება მხოლოდ მოსამართლე დავით გელაშვილის „შემოქმედების“ შედეგია.

მეორე, არანაკლებ მძიმე, უხეში და საოცარი დარღვევა სისხლის მატერიალური და საპროცესო ნორმებისა ის არის, რომ ზაზა კემულარიას ბრალდება, ჩვენი აზრით, არა მარტო ბრალდებულისათვის, არამედ მისი ავტორისა და უკანონოდ დაკანონებული მოსამართლეებისათვის არ იქნება სრულად გასაგები. აღნიშნული ბრალდება ქმედების სამართლებრივი შეფასებისას ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „ზაზა კემულარიამ, მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით – სხვაგვარი ძალადობით, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი – ჩაიდინა განზრახი დანაშაული, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით“

იგივე ბრალდება განაჩენში ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

„ზაზა კემულარია ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახით და ზომად დაეინიშნოს ჯარიმა 800 (რვაასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ“.

მოსამართლის მიერ განაჩენის გამოსატანად გამოყენებული დანაშაულისათვის პასუხისმგებლობისაგან თავის დასაცავად არ გამოუყენებია. ის თითქოსდა დანაშაულზე (სხვაგვარ ძალადობაზე) სასამართლო პროცესზე საერთოდ მსჯელობა არ ყოფილა, განაჩენის გარდა მის ხსენებას ადგილი არ ჰქონია. მოსამართლეს უფლება არ აქვს მის მიერ გამოგონილი ბრალდებით კი არა არც ერთი ბრალდებით დასჯისა, თუ ბრალდებას მხარს არ უჭერს პროკურორი და ამ განაჩენის გაუქმების მეტი არაფერი არ შველის. კონკრეტულად რომელი დანაშაულის ჩადენაში ცნო დამნაშავედ სასამართლომ ზაზა კემულარია განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში არ იკვეთება, მიუხედავად იმისა, რომ სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით ორი ერთიმეორისაგან განსხვავებული, ხოლო კონკრეტულად რომელი ქმედებაა ამ მუხლით დანაშაულის სახით გათვალისწინებული არ ჩანს არც პირველი ინსტანციისა და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენში.

თანახმად სსსკ მე-3 მუხლის მე-14 ნაწილისა, სასამართლო ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ. თანახმად სსკ 53-ე მუხლის პირველი ნაწილისა, სასამართლოს შეუძლია სასჯელი დაუნიშნოს მხოლოდ დამნაშავეს. თანახმად მე-3 მუხლის მე-19 ნაწილისა ბრალდებულია პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სსკ გათვალისწინებული დანაშაული, მაგრამ თანახმად სსსკ მე-17 და 169-ე მუხლებისა, პირის ბრალდებისა და მისი ბრალდებულად ცნობის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს. იმ მომენტიდან, როდესაც მოსამართლე დ. გელაშვილმა მოუხსნა კემულარიას პროკურორის მიერ წაყენებული ბრალდება, რომელიც მას წარდგენილი ჰქონდა გაქარწყლდა და მოსამართლემ მისი 2016 წლის 24 მარტის განაჩენით დამნაშავედ ცნო არა ბრალდებული ზაზა კემულარია, არამედ მოქალაქე კემულარია, რომელიც კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად, სრულიად უდანაშაულო იყო მისთვის მოსამართლე გელაშვილის მიერ სასჯელის დანიშვნის მომენტში. მოსამართლემ დამნაშავედ ცნო არა ბრალდებული, არამედ მოქალაქე.

აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა: „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

ზემოთ მითითებული პუნქტის მოთხოვნით, პიროვნებისათვის მსჯავრის დასადებად აუცილებელია უზენაესი კანონით იმპერატიულად გათვალისწინებული შემდეგი ელემენტების ერთობლივად არსებობა: ა) დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ; ბ) საბრალდებო დასკვნა და გ) გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

ჩვენს შემთხვევაში პროკურორ ქეთევან ყიფიანის მიერ წაყენებული ბრალი (დადგენილებით) ზაზა კემულარიას მიმართ, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე დავით გელაშვილის 2016 წლის 24 მარტის განაჩენით სასამართლო განმარტავს, რომ ზაზა კემულარიას მიმართ წარდგენილი ბრალდება პროკურორის მიერ არასწორადაა ფორმულირებული, როგორც „ცემა“, ვინაიდან დადგენილია, რომ მან მხოლოდ ერთხელ დაარტყა ხელი ზაზა ფიფიას. „ცემა“ განიმარტება, როგორც დაზარალებულის სხეულზე რამდენიმე დარტყმა, ხოლო ერთჯერადად განხორციელებული დარტყმა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, წარმოადგენს არა ცემას, არამედ სხვაგვარ ძალადობას. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ თავისი განაჩენით გააქარწყლა პროკურორის მიერ წაყენებული დადგენილება ცემის თაობაზე პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. რაც შეეხება საბრალდებო დასკვნას, ჩვენს საქმეში (ზაზა კემულარიას საქმეში) არ მოიპოვება.

რაც შეეხება „ყოველგვარ ეჭვს“, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ!

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დავით გელაშვილი, სადღეისოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვალდებული იყო ზაზა კემულარიას მიმართ გამოეტანა გამამართლებელი განაჩენი. ვინაიდან, სხვაგვარი ძალადობის თაობაზე პროკურორს ბრალი არ წაუყენებია ზაზა კემულარიასათვის და აღნიშნულზე სასამართლო ორგანოებში მსჯელობას ადგილი არ ჰქონია.

აქვე მინდა გაცნობოთ, რომ 2015 წლის 12 ოქტომბერს ამ საქმესთან დაკავშირებით შუამდგომლობით მივმართე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს (ქ. ზუგდიდი, გრიგოლ ქობალიას ქ. №10) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას, რომელიც განიხილავდა ზემოთ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს (№044100915002) ზაზა კემულარიას მიმართ.

შუამდგომლობაში აღვნიშნე, რომ მითითებულ საქმეზე გამოძიება დაიწყო 2015 წლის 10 სექტემბერს დაზარალებულად ცნობილ ზაზა ფიფიას განცხადების საფუძველზე. გამოძიების პროცესში მოწმის სახით დაიკითხნენ დაზარალებულად ცნობილი შპს „პრაიმედის“ რეგიონული მენეჯერი ზაზა ფიფია, შპს „პრაიმედის“ დირექტორი ლია ჯანაშვილი, შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფოს“ დაცვის თანამშრომელი მანუჩარ შამუგია, შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფოს“ დაცვის თანამშრომელი ნიკა ზარანდია და შპს „ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფოს“ დირექტორი მადონა სართანია, ასევე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, ბრალდებული ზაზა კემულარია, რომელიც თავს უდანაშაულოდ ცნობს.

დაკითხული პირების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ არცერთი მათგანი უშუალოდ არ შესწრებია ზაზა კემულარიას მიერ ხელის ან მუშტის დარტყმით ზაზა ფიფიასათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს. რაც შეეხება პირებს, რომლებიც უშუალოდ ესწრებოდნენ მომხდარს, ამ უკანასკნელთა ვინაობა გამოძიებას არ დაუდგენია.

მიუხედავად იმისა, რომ ზაზა ფიფიას გააჩნია სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, მისით ვერ დასტურდება, რომ ზიანი მას ზაზა კემულარიამ მიაყენა. ამასთან, ეს ფაქტი არცერთი მოწმის ჩვენებით არ დასტურდება.

ბრალდებულად ცნობილი ზაზა კემულარია მოწმის სახით დაკითხვის ოქმში მიუთითებს, რომ იგი საერთოდ არ შეხებია ფიზიკურად ზაზა ფიფიას და აღნიშნავს, რომ რომც მოენდომებინა, საქმე ფიზიკურ შეურაცხყოფამდე ვერ მივიდოდა, რადგან მათ შორის ჩადგნენ მისთვის უცნობი პირები, და მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი ადამიანები, რომლებმაც არ მისცეს მოსარჩელესა და მოპასუხეს ერთმანეთთან მიახლოების საშუალება და რომელთა ვინაობაც გამოძიებამ ვერ დაადგინა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიებას აწარმოებდა არაკომპეტენტური, თანამდებობაზე უფლებამოსილების არმქონე პირის მიერ დანიშნული პიროვნება, გიზო გიგანი, რომელსაც ეკავა სამეგრელო – ზემო სვანეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე – გამომძიებლის თანამდებობა და, შესაბამისად, მას არ ჰქონდა ზაზა კემულარიას ბრალდების საქმის გამოძიების უფლება, რადგან: 1. მას არ ჰქონდა გავლილი საქართველოს შსს აკადემიაში სპეციალური გადამზადების პროგრამა და 2. გიგანი დაკავებულ თანამდებობაზე დანიშნული იყო მის დანიშვნაზე უფლებამოსილების არმქონე თანამდებობის პირის, შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის გურამ ზესაშვილის მიერ, 2015 წლის 09 ივნისის ბრძანებით. მაშინ როდესაც „სამინისტროში ზოგიერთ თანამდებობაზე სამსახურში მიღების, დაწინაურებისა და გადაადგილების საკითხების მოწესრიგების წესის“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 31 მარტის №244 ბრძანების 79-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად „განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას პირის თანამდებობაზე დანიშვნა, გადაადგილება ან დაწინაურება, ამ ბრძანებით გათვალისწინებული კურსების ან სპეციალური პროფესიული, საგანმანათლებლო პროგრამების გავლის გარეშე, დასაშვებია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით“.

ზემოთ წარმოჩენილი გარემოებების არსებობა მიუთითებს, რომ დარღვეულია ქვეყნის უზენაესი კანონის, საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით რეგლამენტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-7 პუნქტი კი ცალსახად ადგენს, რომ კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არ აქვს. ამავე დათქმას განამტკიცებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლი, რომელიც ეხება დაუშვებელ მტკიცებულებებს და საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვითხოვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 219-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად შეწყვეტილიყო სისხლისსამართლებრივი დევნა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ზაზა კემულარიას წინააღმდეგ, ვინაიდან მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ზაზა ფიფიასათვის მუშტის დარტყმის სახით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად „თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, სასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას“. ზაზა კემულარიას მიმართ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები კი ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა. შუამდგომლობაში ჩამოყალიბებული მოთხოვნა შემდეგნაირად გამოიყურება: „გთხოვთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად“, თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას“ შეწყვიტოთ გამოძიება №044100915002 სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ ზაზა კემულარიას მიმართ, ვინაიდან არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება“.

მას შემდეგ, რაც ზემოთ მოცემული შუამდგომლობა ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2015 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა, 2015 წლის 24 ოქტომბერს, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მეშვეობით (რეგისტ. №12354) საჩივრით მივმართე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას შემდეგი მოთხოვნებით, „გთხოვთ 1. დასაშვებად ცნოთ ჩვენი საჩივარი;

2. დაუშვებელ მტკიცებულებებად იქნეს ცნობილი ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები;

3. გააუქმოთ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის შესახებ და შეწყდეს სისხლის სამართლებრივი დევნა ზაზა კემულარიას მიმართ“.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მიღებული საჩივარი 2016 წლის 26 ოქტომბერს გადააგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, თუმცა წერილი და მისი შინაარსი სასამართლო საქმეში არ ფიგურირებს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო რა საჩივარი, თუმცა საჩივარი სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრირებული არ არის. ამით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მისაღებ

კანცელარიაში რეგისტრაციის თაობაზე ზაზა კემულარიას სისხლის სამართლის საქმე არ იძებნება. კანცელარიამ დამალა სისხლის სამართლის საქმე. სისხლის სამართლის საქმე არ აღირიცხა სასამართლოს აღრიცხვიანობის ჟურნალში, თუმცა მითითებული საქმე დაბრუნების პერიოდში – ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გადასაგზავნად, გაგზავნამდე, წერილი დარეგისტრირებულია სასამართლოს კანცელარიის მიერ 2016 წლის 29 ოქტომბერს №582-2/10-ით. სადაც ადრესატად მითითებულია: ბატონი ზაზა კემულარია (მცხ. ქ. ზუგდიდში, შ. მესხის ქ. №29), ასლი კი გადაეგზავნა – ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს ქალბატონ ნატრული აკობიას. მითითებულ წერილს ხელს აწერს მოსამართლის თანაშემწე – ზვიად გოჩაშვილი, რაც მოსამართლის გადაწყვეტილების არარსებობის გამო, დაუშვებლად და კანონის უხეშ დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული. 2015 წლის 29 ოქტომბრის №582-2/10 თანმდევი წერილით სასამართლომ საჩივარი განუხილველად უკან დაუბრუნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოსა და აპელანტს, რომელშიც ვკითხულობთ:

„განუხილველად გიბრუნდებათ თქვენი 2015 წლის 24 ოქტომბრის საჩივარი, რომლითაც ითხოვთ ბრალდების მხარის მიერ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობას, ასევე არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის შესახებ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და თქვენ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

განგიმარტავთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების თანახმად, თუ ბრალების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. განჩინება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 5 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ ერთჯერადად 5 დღის ვადაში საჩივრდება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მეშვეობით, რომელიც საჩივარს, საქმის მასალებსა და წინასასამართლო სხდომის ოქმს დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს“.

წერილს ხელს აწერს მოსამართლის (მისი ვინაობა მითითებული არ არის) თანაშემწე – ზვიად გოჩაშვილი. ფაქტობრივად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ (მოსამართლეებმა) არ განიხილა საჩივარი, რითაც დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმპერატიული ხასიათის ნორმები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლემ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლითაც იგი ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. მოცემულ შემთხვევაში კი მოსამართლე, ფაქტობრივად, არცერთ მათგანს არ დაემორჩილა, მეტიც საქმე ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს უკან დაუბრუნა (განუხილველად) ორგანოს არაუფლებამოსილმა მოხელემ, მოსამართლის თანაშემწე – ზვიად გოჩაშვილმა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრით სრულად გავასაჩივრე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის განაჩენი საქმეზე №1/ბ-234-2016 და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის განაჩენი საქმეზე №1/677-2015 (საქმე №020100115001122) მსჯავრდებულ ზაზა კემულარიას მიმართ და მოვითხოვე მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის, 301-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და ამავე კოდექსის 307-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მოთხოვნათა შესაბამისად.

კერძოდ, მოვითხოვე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის, მოსამართლე თეიმურაზ სვანიძის თავმჯდომარეობით ჩატარებულ სასამართლო სხდომაზე 2016 წლის 20 მაისს ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე დავით გელაშვილის მიერ 2016 წლის 24 მარტს მსჯავრდებულ ზაზა კემულარიას მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის უცვლელად დატოვების შესახებ, საქმეზე №1/677-2015 (საქმე №020100115001122, მსჯავრდებული ზაზა კემულარია, დაბადებული 1976 წლის 12 თებერვალს, ქ. ზუგდიდში, საქართველოს მოქალაქე, პირადი №19001007622, ნასამართლობის არმქონე, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ზუგდიდში, შ. მესხიას ქ. №29-ში).

აგრეთვე, საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე თეიმურაზ სვანიძის მიერ ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე უცვლელად დატოვებული ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე – დავით გელაშვილის მიერ 2016 წლის 24 მარტს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გამამართლებელი განაჩენით შეცვლა.

შესაბამისად საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ვთხოვე განეხილა საჩივრის დასაშვებობის საკითხი და ეცნო იგი დასაშვებად, რამდენადაც ქუთაისის სააპელაციო და ზუგდიდის რაიონულმა სასამართლოებმა მსჯავრდებული ზაზა კემულარიას საქმე განიხილეს მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პროცესუალური დარღვევებით, რომელსაც არსებითი გავლენა შეეძლო მოეხდინა საქმის განხილვის შედეგზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავარ პროკურორს ვთხოვ: 1. საქართველოს კანონის „პროკურატურის შესახებ“ პირველი მუხლისა და მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლეების დავით გელაშვილისა და მურთაზ სვანიძის მიმართ, კანონით დადგენილი წესით განახორციელოთ სისხლის სამართლებრივი დევნა.

2. საქართველოს მთავარ პროკურორს ეთხოვოს შევიდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან ინფორმაციით, რათა თანხმობა მიიღოს დასახელებული მოსამართლეების პასუხისგებაში მიცემის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ 21-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

3. საქართველოს მთავარ პროკურორს: გთხოვთ ზუგდიდის პროკურორების, ქეთევან ყიფიანისა და ანა არონიას მიმართ კანონით დადგენილი წესით განახორციელოთ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს კანონის „პროკურატურის შესახებ“ და ამავე კანონის 34-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად. „დ“ სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დაითხოვოთ პროკურატურის ორგანოებიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო გვენეტაძეს

საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ 22-ე მუხლის შესაბამისად თქვენ ბრძანდებით ერთ-ერთი უფლებამოსილი პიროვნება, თქვენი სტატუსიდან გამომდინარე, რომელიც კონტროლსა და ზედამხედველობას უწევს საერთო სასამართლოებს.

გთხოვთ უზრუნველყოთ ზემოთ აღნიშნულ საქმეზე მოსამართლეთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების აღმოფხვრა და კანონის შესაბამის ქმედებათა განხორციელება, მიიღოთ სათანადო ზომები, რათა საერთო სასამართლოს მოსამართლეები დაემორჩილონ მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს და შესაბამისად, პრაქტიკულად განხორციელდეს ქვეყნის უზენაესი კანონის 84-ე მუხლით დაწესებული იმპერატიული მოთხოვნების შესრულება. მსგავს ფაქტებს მოგაწვდით საგაზეთო პუბლიკაციებით ყოველ დეკადაში თითო ნომრით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს

ბატონო თავმჯდომარევ, გთხოვთ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად გაიტანოთ მითითებული საკითხი, რათა გამოიყოს სპეციალური კომისია, რომელიც პარლამენტის მიერ მიღებული ნორმის გადაწყვეტილების საფუძველზე გადასინჯავს მოსამართლეების მიერ მიღებულ უკანონო და უსამართლო გადაწყვეტილებებს, იმისათვის, რომ საბოლოოდ დასრულდეს ამ სისტემაში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა განხორციელება.

საქართველოს საზოგადოების ლიდერს ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა, გთხოვთ, თქვენ მიერ 2015 წლის თებერვალში გამოცხადებული სამართლიანობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით, თქვენს ტელევიზიაში ყოველთვიურად გაიმართოს დებატები, როგორც მართლმსაჯულების, ისე სახელმწიფო (შსს, სამინისტროები) და სხვა სამართალდამცავ სტრუქტურებში (პროკურატურა) კანონსაწინააღმდეგო, უსამართლო ქმედებათა გამოვლენის, აღმოფხვრისა და გამოსწორების მიზნით.

პატივისცემით, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (მეცნიერ-მუშაკი და პრაქტიკოსი), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი

აპოლონ გადელია

მცხ: თბილისი, ვირსალაძის ქ. №8,
ტელ: 577 46 93 53

2016 წლის 18 ივნისი

რა დანამატები გაიცემა 1-ლი სექტემბრიდან მთაში მუდმივად მცხოვრებ პირებზე

2016 წლის 1-ლი სექტემბრიდან მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირებსა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალზე სპეციალური დანამატები გაიცემა. საქართველოს მთავრობამ აღნიშნული დანამატების გაცემის წესი და პირობები დაამტკიცა.

გთავაზობთ ამ წესის ძირითად დებულებებს კითხვა-პასუხის ფორმით.

– ვინ არიან დანამატის მიმღები პირები და რამდენს შეადგენს დანამატის ოდენობა?

– დანამატის მიღების უფლება აქვთ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირებს (დანიშნული პენსიის 20 %-ის ოდენობით) და სოციალური პაკეტის მიმღებ პირებს (დანიშნული სოციალური შემწეობის 20 %-ის ოდენობით). დანამატი არ დაენიშნებათ პირებს, რომლებიც იღებენ სახელმწიფო კომპენსაციას.

– ვის უნდა მივმართოთ დანამატის დანიშვნის თაობაზე და რა ფორმით?

– დანამატის დანიშვნის თაობაზე განცხადება, ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად, უნდა წარედგინოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ორგანოს, მიუხედავად მაძიებლის რეგისტრაციის ადგილისა.

– რა დოკუმენტები უნდა დაერთოს განცხადებას?

– განცხადებას თან უნდა დაერთოს მაძიებლის მიმართვის შემთხვევაში – მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის პირადობისა და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

– რა ვადაში უნდა განიხილოს სააგენტომ განცხადება?

– დანამატის დანიშვნის თაობაზე განცხადებას სააგენტო განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

– რა მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს დანამატის მაძიებელი პირი?

– იმისათვის, რომ სააგენტომ მიიღოს გადაწყვეტილება დანამატის დანიშვნის შესახებ, აუცილებელია განცხადებას თან ახლდეს ყველა საჭირო დოკუმენტი და, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებული რეესტრის მიხედვით, პირს მინიჭებული ჰქონდეს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.

– როდიდან ხდება დანამატის დანიშვნა და რა პერიოდულობით მოხდება მისი გაცემა?

– დანამატი ინიშნება განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. დანამატის გაცემა განხორციელდება პენსიასთან/სოციალურ პაკეტთან ერთად.

– რა შემთხვევაში შეიძლება დანამატის გაცემის შეჩერება ან შეწყვეტა?

– პირს დანამატი ავტომატურად შეუჩერდება ან შეუწყდება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის, აგრეთვე პენსიის ან სოციალური პაკეტის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევებში.

– რა კატეგორიის სამედიცინო პერსონალზე გავრცელდება დანამატები?

– ა) მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალზე (ექიმი, ექთანი), რომლის შრომა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება;

ბ) მაღალმთიან დასახლებებში „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის – „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ კომპონენტის ფარგლებში, შესაბამისი მიმწოდებლები (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი);

გ) სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში მაღალმთიან დასახლებაში მომუშავე სამედიცინო პერსონალზე (ექიმი, ექთანი);

დ) შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე სამედიცინო პერსონალზე (ექიმი, ექთანი): შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“; შპს „ბედიანის ფსიქიატრიული საავადმყოფო“; შპს „მანგლისის საავადმყოფო-პოლიკლინიკა“; შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო“.

– რამდენს შეადგენს სამედიცინო პერსონალის დანამატის ოდენობა?

– მაღალმთიან დასახლებებში დასაქმებული ექიმის/სოფლის ექიმის დანამატის ოდენობა შეადგენს თვეში 360 ლარს, ექთნის/სოფლის ექთნის – თვეში 180 ლარს.

– თუ ექიმი ან ექთანი ერთდროულად მუშაობს ორ ან მეტ ადგილზე, მიეცემა თუ არა მას გაზრდილი დანამატი?

– არა. სამედიცინო პერსონალზე (ექიმი/ექთანი) გაიცემა ერთი დანამატი, მიუხედავად მაღალმთიან დასახლებაში მდებარე რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში ან რამდენიმე საშტატო ერთეულზე მისი დასაქმებისა.

– თუ ექიმი/ექთანი იმავდროულად არის პენსიონერი ან სოციალური პაკეტის მიმღები, მიეცემა თუ არა მას ორივე სახის დანამატი?

– არა. ასეთ შემთხვევაში გაიცემა მხოლოდ მაღალმთიან დასახლებაში მომუშავე ექიმის/ექთნისათვის განსაზღვრული დანამატი.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

პუტინი: „აშშ ერთადერთი ზესახელმწიფოა“



პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე რუსეთს უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა: ევროკავშირმა ყირიმის ანექსიის გამო რუსეთს სანქციები კიდევ ერთი წლით გაუგრძელა.

პრესკონფერენციაზე პუტინმა განაცხადა, რომ ევროპასთან მეგობრობა სურს:

– ჩემი აზრით, ევრაზიული სივრცე უნდა გაფართოვდეს და მას შემოუერთდნენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა პაკისტანი, ინდოეთი. იმედია, ევროპელები შემოგვიერთდებიან. ჩვენ მათთან მეგობრობა გვსურს.

ამით პუტინმა თანხმობა განაცხადა მერკელის იდეაზე ერთიანი ევროსივრცის შექმნის შესახებ ვლადივოსტოკიდან ლისაბონამდე.

რუსეთის პრეზიდენტი სანქციების საკითხსაც შეეხო და თქვა, რომ მზადაა, ევროკავშირისადმი დაწესებული რუსული სანქციები პირველმა გააუქმოს.

– ამას ჯერჯერობით იმიტომ არ გავაკეთებ, რომ მეშინია, ევროპელებმა არ გადამაგდონ და რუსეთისადმი დაწესებული სანქციები ძალაში დატოვონ, – „იხუმრა“ პუტინმა.

ის რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობებსაც შეეხო. მან განაცხადა, რომ ვაშინგტონის მიერ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგებას, აგრეთვე ბალტიისპირეთში ნატოს კონტინგენტის ზრდას რუსეთის მხრიდან პასუხი აუცილებლად მოჰყვება. მიუხედავად ამისა, პუტინი აშკარად შეფერთხილი გამოიყურებოდა. მან აღნიშნა:

– ჩვენ არ გვსურს ცივი ომი, ჩვენი კონტრნაბიჯები იძულებით ხასიათს ატარებენ.

გარდა ამისა, რუსეთის პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა:

– ჩვენ ვაღიარებთ, რომ დღეს ამერიკის შეერთებული შტატები ერთადერთი ზესახელმწიფოა, მაგრამ ეს არ აძლევს მას უფლებას, ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაერიოს!

შემდეგ პუტინი უკრაინულ პრობლემას შეეხო.

მან გამოთქვა გაოცება იმის გამო, რომ ევროპამ მის ქვეყანას სანქციები გაუგრძელა.

– სანქციებს ჩვენ კი არა, უკრაინა იმსახურებს! – განაცხადა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტის გამოსვლამ მის სამშობლოში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ბევრმა პუტინი დასავლეთის წინაშე კაპიტულაციაში დაადანაშაულა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგეი ივანოვი შეეცადა, ეს რამდენადმე გაექარწყლებინა:

– სანქციები რომ გაეუქმებინათ, გული გამიტყდებოდა. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება სანქციები, მით უფრო სწრაფად განვითარდება რუსეთი.!

ივანოვმა აღნიშნა, რომ ევროპა რუსეთის ერთადერთი პარტნიორი არ არის.

– რადგან ევროპელები ვერ მიხვდნენ, რომ თავადვე ზარალდებიან, სანქციები გაგვიგრძელონ! ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს, – თქვა ივანოვმა.

სვეტლანა ალექსიევიჩი: „უკრაინელებმა რუსეთის არმიის წინსვლა შეაჩერეს“

ცნობილმა ბელარუსმა მწერალმა და ნობელის პრემიის ლაურეატმა სვეტლანა ალექსიევიჩმა განაცხადა, რომ დემოკრატიულმა ძალებმა, რომლებიც ასპარეზზე გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გამოვიდნენ, ბევრი რამ ვერ გაითვალისწინეს.

– 1991 წელს, გკჩპ-ს კრახის შემდეგ გვეგონა, რომ დემოკრატიამ გაიმარჯვა. სამწუხაროდ, მწარედ მოვტყუვდით. ბელარუსის ხელმძღვანელობაში ლუკაშენკო მოვიდა, რუსეთში კი – პუტინი, – თქვა ალექსიევიჩმა.

მან აღფრთოვანება გამოთქვა უკრაინელი ხალხის გმირული ბრძოლის გამო მაიდანსა და დონბასის ფრონტზე. ალექსიევიჩმა აღნიშნა, რომ უკრაინელებმა შეუძლებელი შეძლეს.

– მათ რუსეთის არმიის წინსვლა შეაჩერეს. პუტინისეული პროექტი ნოვოროსიის შექმნის თაობაზე ჩაიშალა, – თქვა ბელარუსმა მწერალმა.

მისი აზრით, ბელარუსები ასეთი ბრძოლისთვის მზად არ არიან.

– ბელარუსებს სურთ ევროპა, სურთ, რომ მათი ბელარუსული ენა სახელმწიფო ენა იყოს, მაგრამ, უკრაინელებისგან განსხვავებით, მზად არ არიან, ამისთვის თავი გაწირონ, – განაცხადა ალექსიევიჩმა.

ამავე დროს, მწერალმა გამოთქვა იმედი, რომ ადრე თუ გვიან დემოკრატია როგორც რუსეთში, ისე ბელარუსში გაიმარჯვებს.

– არ მინდა, ეს რევოლუციისა და სისხლისღვრის შედეგად მოხდეს. მინდა, ეს პროცესი ევოლუციის გზით განვითარდეს, – განაცხადა ალექსიევიჩმა.

შტაინმაიერი ნატოს აკრიტიკებს

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა გააკრიტიკა ნატოს მანევრები აღმოსავლეთ ევროპაში, რომელშიც 31.000 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა.

– იარაღის ჟღარუნი ახლა ყველაზე ნაკლებად გვჭირდება. ამით ევროპის უსაფრთხოების დაცვას ვერ უზრუნველვყოფთ და რუსეთსაც ზედმეტად გავაღიზიანებთ, – თქვა შტაინმაიერმა.

ეს განცხადება ნატოს ვარშავის სამიტის წინ გაისმა. ბი-ბი-სის ანალიტიკოსების აზრით, ამით შტაინმაიერი ცდილობს, ხელი შეუშალოს ნატოს დაახლოებას ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა უკრაინა და საქართველო.

შოიგუ ასადს შეხვდა

რუსეთის თავდაცვის მინისტრი შოიგუ სირიაში ჩავიდა.

პუტინის დავალებით მან სირიაში არსებული რუსული ბაზის ინსპექტირება განახორციელა და სირიის დიქტატორ ასადსაც შეხვდა.

შოიგუმ პუტინის სახელით მას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

– თქვენ იმ ერთადერთ რეალურ ძალას წარმოადგენთ, რომელსაც სირიაში საერთაშორისო ტერორიზმის დამარცხება შეუძლია, – განუცხადა ასადს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა.

თავის მხრივ, პენტაგონმა გამოთქვა აღშფოთება რუსების მიერ ზომიერი სირიელი პარტიზანების პოზიციების დაბომბვის გამო.

– დროა, ამას ბოლო მოეღოს! – ნათქვამია პენტაგონის განცხადებაში.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ეგვიპტის ექსპრეზიდენტს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს



ეგვიპტის ექსპრეზიდენტ მურსის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

ილია მურსი ზომიერი ისლამური პარტიის „ძმები მუსლიმანების“ ლიდერი გახლდათ.

მურსის ბრალად დასდეს კატარის სასარგებლოდ ჯაშუშობა. მასთან ერთად გაასამართლეს მისი ადმინისტრაციის რამდენიმე თანამშრომელი, აგრეთვე – ტელეკომპანია „ალ-ჯაზირას“ ჟურნალისტი.

მას ასევე კატარის სასარგებლოდ ჯაშუშობა დააბრალეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

● ვყიდი ხის ფანჯრებს. ტელ: 557-68-83-43.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემორიი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

იტალია და ესპანეთი პლეი ოფში საფრანგეთს შეუერთდნენ

ე ჯგუფი

იტალია-შვედეთი 1:0

ტულუზა. სტად დე ტულუზა

1:0 ედერი (88)

იტალია: ბუფონი, ბარძალი, ბონუჩი, კიელინი, კანდრევა, პაროლო, დე როსი (ტიაგო მოტა 74), ჯაკერინი, ფლორენცი (სტურარო 85), ედერი, პელე (ძაძა 60)

შვედეთი: ისაკსონი, ლინდელოფი, იოჰანსონი, გრანქვისტი, ოლსონი, ლარსონი, ეკდალი (ლევიცკი 79), კალსტრომი, ფორსბერგი (დურმაზი 79), გუიდეტი (ბერგი 85), იბრაჰიმოვიჩი

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი ფრთხილი და დახურული გამოდგა. გუნდებმა დიდი ნაწილი კარიდან მოშორებით გაატარეს და მუქარითაც არ იწუხებდნენ თავს. პირველ ტაიმში იტალია უფრო დაცვიდან თამაშობდა და ბურთსაც შვედები აკონტროლებდნენ. შესვენების შემდეგ კი კონტემ შეცვლებს მიმართა და „სკუადრა აძურამაც“ მოუმატა. ეს განსაკუთრებით ბოლო 15 წუთში შეიმჩნეოდა, როდესაც უკვე იტალიელებმა მიმართეს ბურთის კონტროლს. აპენინელებმა რამდენი ხიფათიც შექმნეს, ბურთი ხარიხასაც გაარტყეს. მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე კი გოლიც გაიტანეს – ჯორჯო კილენის ჩაგდებულ ბურთს საჯარიმოსთან სიმონე ძაძა დახვდა, რომელმაც ედერი მოძებნა და მანაც სამქულიანი დარტყმა შეასრულა.

იტალიელებმა ზედიზედ მეორე მატჩი მოიგეს და საფრანგეთის შემდეგ მეორე გუნდი შეიქმნა, რომელმაც პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ედერი**

მატჩის გმირი იტალიელთა ფორვარდი გახდა, რომელმაც გოლი ზუსტად იმ დროს გაიტანა, რომ შვედებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს.

ბელგია-ირლანდია 3:0

ბორდო. სტად დე ბორდო

1:0 ლუკაკუ (48), 2:0 ვიტსელი (61), 3:0 ლუკაკუ (70)

ბელგია: კურტუა, მუნიე, ალდერვეიელდი, ვერმაელენი, ვერტონგენი, ვიტსელი, დემბელე (ნაინგოლანი 57), ფერეირა-კარასკო (მერტენსი 64), დე ბრუინი, აზარი, ლუკაკუ (ბენტეკე 82)

ირლანდია: რენდოლფი, კოულმენი, ოში, კლარკი, უორდი, ჰენდრიკი, უელანი, მაკარტი (მაკლინი 62), ბრეიდი, ჰულეჰანი (მაკგიდი 72), ლონგი (კინი 79)

პირველ ტაიმში მარკი ვილმოტსის შეგირდები ჯერ კიდევ იტალიასთან მატჩის შოკში იყვნენ და ცუდად თამაშობდნენ. არადა, ბელგიის ნაკრები ფავორიტების შემდეგ ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად მიიჩნევა და ამ ევროპირველობაზე მათგან სენსაციურ შედეგებსაც ელოდნენ.

მართალია, წითელი ეშმაკები პირველ ტაიმშიც ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ ტაბლოზე ისევ ნულები ენთო. მხოლოდ შესვენების შემდეგ ვიხილეთ ის ბელგიის ნაკრები, რომელსაც ამ ტურნირზე ელიან.

შესვენების შემდეგ რომელუ ლუკაკუმ გახსნა ანგარიში, ამის შემდეგ კი საქმის ბოლომდე მისაყვანად ბელგიელებს დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებიათ. პირიქით, გაცილებით ლაღად და მარტივად ათამაშდნენ. ვიტსელმა კლასიკური შეტევის შემდეგ გაიტანა – გოლამდე ბელგიის ნაკრებმა 28 პასი გააკეთა, ხოლო ლუკაკუს დუბლი ასევე კლასიკური კონტრშეტევის შედეგად გავიდა.

ახლა ბელგიას შვედებთან ფრეც აწყობს, ხოლო ირლანდიას აუცილებლად სჭირდება მოგება იტალიასთან.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **რომელუ ლუკაკუ**

ბელგიელთა თავდამსხმელმა თავისი საქმე გააკეთა. ორჯერ დაარტყა კარში და ორჯერვე შედეგიანად. თუ მეორე გოლი რთული შესასრულებელი არ იყო, პირველი კლასს და ოსტატობას მოითხოვდა. ახლა ლუკაკუს კიდევ 3 ფეხბურთელთან ერთად 2 გოლი აქვს გატანილი.

სატურნირო ცხრილი:

1.იტალია	2	2	0	0	3-0	6
2.ბელგია	2	1	0	1	3-2	3
3.შვედეთი	2	0	1	1	1-2	1
4.ირლანდია	2	0	1	1	1-4	1

ბოლო ტური

22 ივნისი:

იტალია-ირლანდია;

შვედეთი-ბელგია.

დ ჯგუფი

ჩეხეთი-ხორვატია 2:2

სენტ-ეტიენი. ჟოფრუა გიშარი

0:1 პერიშიჩი (37), 0:2 რაკიტიჩი (59), 1:2 შკოდა (76), 2:2 ნეციდი (90)

ჩეხეთი: ჩეხი, კადერაბეკი, სივოკი, ჰუბნიკი, ლიმბერსკი, სკალაკი (შურალი 67), დარიდა, პლაშილი (ნეციდი 86), კრეიჩი, როსიცკი, ლაფატა (შკოდა 67)

ხორვატია: სუბაშიჩი, სრნა, ჩორლუკა, ვიდა, სტრინიჩი (ვრშალკო 90), ბროზოვიჩი, მოდრიჩი (კოვაჩიჩი 62), რაკიტიჩი (შინდელფელდი 90), ბადელი, პერიშიჩი, მანჯუკიჩი

ჯერჯერობით ყველაზე უხვგოლიანი მატჩი მოვლენების განვითარებით დრამატული გამოდგა. წინა პლანზე ამჯერადაც ფანები გამოვიდნენ – ხორვატმა გულშემატკივრებმა კინაღამ ჩაშალეს თამაში. მოედანზე გადაყრილი უამრავი პეტარდები და შემდეგ ხელჩართული ჩხუბი საკუთარ სექტორში. მატჩი მაინც გაგრძელდა და ხორვატთათვის არასასურველი შედეგით დასრულდა.

ამ მომენტამდე ხორვატები დამაჯერებლად იგებდნენ, არეულობით შექმნილმა პაუზამ კი ნეგატიურად იმოქმედა მათზე.

მატჩის დიდი ნაწილი ხორვატთა უპირატესობით წარიმართა და დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლოთ. პირველ ტაიმში ანტე ჩაჩიჩის შეგირდები მეტოქეს ყველა კომპონენტში სჯობდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთხელ მოახერხა გატანა. შესვენების შემდეგ მეორე გოლიც მალე გავიდა და თითქოს მატჩში ინტრიგაც მოკვდა, მით უმეტეს, რომ ჩეხებს შეტევაში საერთოდ არაფერი გამოსდიოდათ, მაგრამ მოედანზე 15 წუთით ადრე გამოჩნდა მილან შკოდა, რომელმაც საგრძნობლად შეცვალა მატჩის მიმდინარეობა.

ჩეხთა ფორვარდმა თავით ულამაზესი გოლი გაიტანა და ინტრიგაც დაბრუნდა. შემდეგ იყო პაუზა, ჩეხების შტურმი, რის შემდეგაც დომაგოი ვიდამ საჯარიმოში ხელით ითამაშა – პენალტი და ტომაშ ნეციდმა ზუსტად გაიტანა 11 მეტრიდან.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ივან რაკიტიჩი**

ბოლო 15 წუთის გარდა, ხორვატები აღემატებოდნენ მეტოქეს და ეს სწორედ რაკიტიჩის დამსახურებაა, რომელიც მოედნის ცენტრში ყველაფერს აკონტროლებდა. გოლიც გაიტანა და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყვიტა, მაგრამ ბოლო წუთებში რაკიტიჩის გარჯა წყალში ჩაყარეს მისმა თანაგუნდელებმა.

ესპანეთი-თურქეთი 3:0

ნიცა. სტად დე ნისი

1:0 მორატა (34), 2:0 ნოლიტო (37), 3:0 მორატა (48)

ესპანეთი: დე ხეა, ხუანფრანი, პიკე, რამოსი, ალბა (ასპილიკუეტა 81), ბუსკეტსი, ფაბრეგასი (კოკე 71), ინიესტა, სილვა (ბრუნო63), ნოლიტო, მორატა

თურქეთი: ბაბაჯანი, გიოქჰანი, ტოპალი, ბალთა, ერქინი, ტუფანი, ინანი (მალი 70), ჩალჰანოღლუ (შაჰინი 46), ოზიაქუფი (საჰანი 62), ილმაზი

ესპანელებს ამ მატჩი არანაირი პრობლემა არ შეჰქმნიათ. ვიდენტე დელ ბოსკეს გუნდი დასაწყისიდან ბოლომდე აკონტროლებდა მატჩს – „დაიპყრო“ ტერიტორია, აკონტროლებდა ბურთს, ფლობდა უდიდეს უპირატესობას და ეს ყველაფერი გოლებშიც ასახა.

თურქთა ტაქტიკა, ეთამაშათ კონტრშეტევებზე არაფრის მომტანი გამოდგა – დე ხეას კართან ერთი სახიფათო მომენტიც კი არ შექმნილა.

ესპანელებმა 2 გოლი ჯერ კიდევ შესვენებამდე გაიტანეს, ხოლო ანტრაქტის შემდეგ ბაბაჯანს მალევე მოუხდა ბურთის მესამედ გამოტანა. დარჩენილ დროში ესპანელებს შეტევებით თავი აღარ მოუკლავთ – ბურთი ფეხთ ჰქონდათ და თურქებს „აწვალებდნენ“. ასე მშვიდად მივიდნენ დელ ბოსკეს შეგირდები პლეი ოფამდე...

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ალვარო მორატა**

მიმდინარე სატრანსფერო ბაზარზე ამ ფეხბურთელზე მოთხოვნა გაჩნდა და თუ რატომ, ეს მორატამ თურქებთან დაამტკიცა. ესპანელთა თავდამსხმელმა 2 გოლის გატანა მოახერხა და დაამტკიცა, რომ ამ ფორმაციის ნაკრებში საუკეთესო შემტევია.

სატურნირო ცხრილი:

1.ესპანეთი	2	2	0	0	4-0	6
2.ხორვატია	2	1	1	0	3-2	4
3.ჩეხეთი	2	0	1	1	2-3	1
4.თურქეთი	2	0	0	2	0-4	0

ბოლო ტური

21 ივნისი:

ჩეხეთი-თურქეთი;

ხორვატია-ესპანეთი.

ფ ჯგუფი

პორტუგალია-ავსტრია 0:0

პარიზი. პარკ დე პრენსი

79-ე წუთზე რონალდუმ პენალტი ვერ გაიტანა (ძელი)

პორტუგალია: პატრისიო, რ.კარვალიო, პეპე, ვეირინია, გერეირო, უ.კარვალიო, მოუტინიო, გომეში (ედერი 83), კვარეზმა (მარიო 71), ნანი (რ.სილვა 89), რონალდუ

ავსტრია: ალმერი, ჰინტერეგერი, პრიოდლი, ფუჩსი, კლეინი, ილსანკერი (ვიმერი 87), ბაუმგარტლინგერი, ალაბა (შიოფი 65), ჰარნიკი, არნაუტოვიჩი, საბიცერი (ჰინტერსერი 85)

არაფერი გასაკვირი არ იქნება, თუ პორტუგალიის ნაკრები ბოლო ტურში ვერ დაამარცხეს უნგრეთის ეროვნულ გუნდს და ვადაზე ადრე დატოვებს ევროპის ჩემპიონატს. მეორე მატჩი და მხოლოდ მეორე ქულა, როდესაც მათგან გაცილებით მეტს ელოდნენ. ჯერჯერობით, პორტუგალიელები ემოციებს, ძალებსა და ქულებს კარგავენ.

არადა, მოგება შეეძლოთ, მაგრამ მომენტების რეალიზებაში უჭირთ. მეტიც, მათმა აღიარებულმა ლიდერმა, კრიშტიანუ რონალდუმ პენალტიც ვერ გაიტანა.

მართალია, გაცუდებული პენალტიდან მალევე თავით გაიტანა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და მატჩიც უგოლოდ დასრულდა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **კრიშტიანუ რონალდუ**

გაცუდებული პენალტის მიუხედავად, რონალდუ მოედანზე ყველაზე გამორჩეული იყო. სწორედ ეს არის პორტუგალიელთა დიდი ნაკლი – სხვა ფეხბურთელებს ცოტა მეტი კლასი რომ გააჩნდეთ, ბრძოლას უფრო მაღალი მიზნებისთვის შეძლებდნენ.

ისლანდია-უნგრეთი 1:1

მარსელი, ველოდრომი

1:0 გ.სიგურდსონი (40პ), 1:1 სევარსონი (88სკ)

ისლანდია: ჰალდორსონი, რ.სიგურდსონი, არნასონი, სევარსონი, სკულასონი, გუნარსონი (ჰალფრედსონი 65), გუდმონდსონი, გ.სიგურდსონი, ბიარნასონი, ბოდვარსონი (ფინბოგასონი 69), სიგტორსონი (გუდიონსენი 84)

უნგრეთი: კირალი, ჟუჰაჟი (შალაი 84), გუზმაცსი, ლანგი, კადარი, გერა, ნაგი, კლეინჰეისლერი, შტიბერი (ნიკოლიჩი 66), ჯუჯაკი, პრისკინი (ბოდე 66)

ცოტა დააკლდათ ისლანდიელებს, რომ კიდევ ერთი ისტორიული შედეგი დაეფიქსირებინათ. პირველ მატჩში პორტუგალიასთან მათ პირველი ქულა აიღეს ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე, უნგრელებთან კი ახლოს იყვნენ პირველ გამარჯვებასთან. სულ 2 წუთი დააკლდათ მიზნის მისაღწევად ლარს ლაგრბეკის შეგირდებს. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ არც უნგრელები იმსახურებდნენ წაგებას.

ანგარიში პენალტით გაიხსნა. ეს ტაიმის ბოლოსკენ მოხდა და შესვენების შემდეგ ისლანდია მხოლოდ ერთი მიზნით გავიდა მოედანზე – გაეძლოთ და შეენარჩუნებინა ანგარიში. თუმცა, ეს ვერ მოახერხეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – **ბალაჟ ჯუჯაკი**

ჯუჯაკი უნგრელთა კაპიტანია და სწორედ ისე ირჯებოდა, როგორც კაპიტანს შეეფერება – გუნდს წინ უძღვებოდა. მანევრირებდა მეტოქის ნახევრის ყველა მონაკვეთზე, ეძებდა ნაპრალებს, ავიწროებდა მცველებს. მართალია, საგოლე კომბინაციაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მოედანზე ყველაზე გამორჩეული იყო.

სატურნირო ცხრილი:

1.უნგრეთი	2	1	1	0	3-1	4
2.ისლანდია	2	0	2	0	2-2	2
3.პორტუგალია	2	0	2	0	1-1	2
4.ავსტრია	2	0	1	1	0-2	1

ბოლო ტური

22 ივნისი:

ისლანდია-ავსტრია;

უნგრეთი-პორტუგალია.

დინამო ლეგიონერებს იმატებს

ავსტრიულ შეკრებაზე გამგზავრებამდე თბილისის დინამოს რიგებს კიდევ ერთი ლეგიონერი შეემატა – 28 წლის ფრანგი მეკარე ანტუან სკრიბე.

სკრიბე დინამოში მოსვლამდე 3 სეზონი ფრანგული აიაჩოს ღირსებას იცავდა, კარიერა კი მონპელიეში დაიწყო.

შეგახსენებთ, რომ დინამო თბილისის რიგებში ბულგარელი 27 წლის ნახევარმცველი სტეფან ველევი, წარმოშობით მარტინიკელი, 28 წლის შემტევი ნახევარმცველი მათიას კურიე და 28 წლის ხორვატი მარცხენა მცველი მატია შპიჩიჩი ჩაირიცხნენ.

ავსტრიულ შეკრებამდე დინამოელებმა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მორიგი ვარჯიში გამართეს. გუნდს ახალწვეულებთან ერთად ეროვნულ ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელებიც შეუერთდნენ. იურაი იარაბეკის გუნდი მოემზადება და გამთენიისას გეზს ავსტრიისკენ აიღებს, სადაც დინამოელები 4 სპარინგ შეხვედრას ჩაატარებენ. ჩვენს გუნდს მეტოქეობას ვარშავის ლეგია, რაზგრადის ლუდოგორეცი, ჰაიფას მაქაბი და კიევის დინამო გაუწევენ.

ხვალ კი წილისყრა გაიმართება და უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისელთა მეტოქის ვინაობას შევიტყობთ.

შედეგები

18 ივნისი

ფეხბურთი

ევროპის ჩემპიონატი

ბელგია-ირლანდია 3:0

ისლანდია-უნგრეთი 1:1

პორტუგალია-ავსტრია 0:0

ჯოპა ამერიკა

არგენტინა-ვენესუელა 4:1

მექსიკა-ჩილე 0:7

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

პლეი ოფი

ხირონა-ოსასუნა 0:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ჰიფკი-ლაჰტი 2:2

როვანიემი-ილვესი 1:0

სჯკ-ჰიკი 2:3

მოამზადა მიხეილ ყორეოღლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

სამხრეთ კორეაში არაფრის კეთებაში შეჯიბრება გაიმართა

სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში 70-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა კონკურსში, რომლის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ 90 წუთის განმავლობაში მის მონაწილეს არაფერი ეკეთებინა. აღნიშნული შეჯიბრება ქალაქის პარკ იჩონ ჰანგანში ჩატარდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გამარჯვების მსურველს ყურადღება არ უნდა მიექცია არც მობილური ტელეფონის, არც საათისთვის. არ შეიძლებოდა დაძინება ან საუბარი. იმ შემთხვევაში, თუ შეჯიბრების მონაწილეს დალევა ან ტუალეტში გასვლა მოუნდებოდა, მას ამის გაკეთების უფლება მხოლოდ მას შემდეგ მიეცემოდა, როდესაც ორგანიზატორებს აცნობებდნენ სპეციალური ბარათის აწევით.

ამ შეჯიბრების გამართვის იდეა ეკუთვნის მხატვარ ქალ ვუპს იანს. პირველი მსგავსი კონკურსი მან 2014 წელს მოაწყო. ქალი თავს მეტად უხერხულად გრძნობდა თავს, თუ ის რაიმე საქმით არ იყო დაკავებული. სწორედ მაშინ მოუვიდა აზრად, რომ თუ ბევრი ადამიანი მასთან ერთად არაფრის კეთებით იქნებოდა დაკავებული, მაშინ პროცესი უფრო კომფორტული იქნებოდა.

საბოლოოდ აღნიშნული კონკურსის გამარჯვებული გახდა შინ ხე სობი. მას 90 წუთის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია, ინარჩუნებდა თანაბარ პულსს, შემდეგ კი აღიარა, რომ სახლში ივარჯიშა.

ამერიკელ ინკასატორებს 20 ათასი დოლარი გაუფრინდათ

აშშ-ში ქარმა ინკასატორებს 20,5 ათასი დოლარი გასტაცა. ეს ინფორმაცია ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ ადგილობრივ პოლიციაზე დაყრდნობით გაავრცელა.

ინციდენტი დილით ადრე ქალაქ პროვიდენსში (როდაილენდის შტატის დედაქალაქი) მოხდა. ინკასატორთა მანქანა როდ-აილენდის ჰოსპიტალის ტერიტორიიდან გამოდიოდა, როდესაც მოულოდნელად მისი უკანა კარი გაიღო და მანქანიდან სამი ფულიანი ტომარა გადმოვარდა, რომელთაგან ორი გასკდა, ვინაიდან მათ უკან მომავალმა მანქანამ გადაუარა.

ამოვარდნილმა ქარმა ფულის კუპიურები ააფრიალა და გაიტაცა. ინკასატორებმა ფულის მხოლოდ ნაწილის შეგროვება მოახერხეს, 20,5 ათასი დოლარი კი ქარმა წაიღო. სავარაუდოდ, ფული გამვლელებმა მოაგროვეს.

ამჟამად მიმდინარეობს მომხდარის გამოძიება, რათა გაირკვეს, როგორ გაიღო დაჯავშნილი ავტომობილის კარი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი
20 ივნისისთვის

ვერძი – ძალზე არაკეთილისმყოფელი და რთული დღეა. მოსალოდნელია პრობლემები ბინასთან და ქონებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით ემოციური პერიოდია მამაკაცებისათვის. **კურო** – დღის პირველ ნახევარში გაფანტული და დაბნეული ხართ. საქმიანი კონტაქტებისათვის შეუფერებელი დღეა. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად დაქვეითებულია. ჯანმრთელობის მდგომარეობა სახარბიელო არ არის. ფიზიკური დატვირთვა გეკრძალებათ. **კირჩხიბი** – კონფლიქტური დღეა. კამათი და საქმის გარჩევები თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. **ლომი** – ძალზე არაკეთილისმყოფელი და რთული დღეა. მოსალოდნელია პრობლემები ბინასთან და ქონებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით ემოციური პერიოდია მამაკაცებისათვის. **ქალწული** – კომერციული საქმიანობა წარუმატებელი იქნება. ქარაფშუტობა და საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება თქვენს კარიერაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. **სასწორი** – ნერვები წესრიგში არ გაქვთ. ამიტომ ეცადეთ, ეს დღე ბუნების წიაღში გაატაროთ. კარგი იქნება, თუ იმუშავებთ ბაღში. საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას ნუ აიღებთ. **ღრიანკალი** – ენერგია გემატებათ. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაასრულებთ. იღბლიანი იქნება ურთიერთობა ბიზნესპარტნიორებთან. **მშვილდოსანი** – ფიზიკურ დატვირთვას შესაძლოა ქრონიკული დაავადებების გამწვავება მოჰყვეს. არ გადაიღალოთ. ერიდეთ კონფლიქტს ხელმძღვანელ პირებთან. **თხის რქა** – საქმიანი შეხვედრებისათვის არახელსაყრელი პერიოდია. ერიდეთ ფულის უაზროდ ხარჯვას. დღეს მხოლოდ აუცილებელი საქმით დაკავდით. **მერწყული** – სიტუაციის ანალიზის უნარის მეშვეობით ნებისმიერ საქმეს თავს გაართმევთ. იაქტიურეთ. შესაძლოა მაცდუნებელი წინადადება მიიღოთ. **თევზები** – მორალურ კმაყოფილებას მოგგვრით ახალი, საინტერესო საქმის დაწყება, რომელიც, სავარაუდოდ, წარმატებით დამთავრდება. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას არ აჩქარდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ბრიტანელ ჩინოსნებს დასახლება გოტემი გამოგონილი ეგონათ

ბრიტანული დასახლება გოტემის (რაშკლიფი, ნოტინჰემშირის საგრაფო) მცხოვრებლებმა წყალდიდობისგან მიყენებული ზარალის გამო ადგილობრივი ჩინოსნებისგან დახმარება ვერ მიიღეს. ამის მიზეზი ის გახდა, რომ ადგილობრივმა ჩინოსანმა ინტერნეტში ინფორმაცია მხოლოდ გამოგონილ ქალაქ გოტემსიტიზე მოიძია, რომელიც ნახსენებია ბეტმენში.

სახელმწიფო მოხელემ, რომელსაც დასახლების მცხოვრებლებმა ტელეფონით მიმართეს, განაცხადა, რომ ერთადერთი გოტემი, რომლის მოძიებაც ინტერნეტში შეძლო, აშშ-ში მდებარეობს. ერთ-ერთმა მოქალაქემ რეიჩელ ვებსტერმა იფიქრა, რომ ჩინოსანი ხუმრობდა, თუმცა მან საპირისპიროში დაარწმუნა. მან იგივე განუცხადა მის მეზობელსაც, რომელიც საგრძნობლად დაზარალდა წყალდიდობისგან.

რაშკლიფის რაიონის ხელისუფლებამ უკვე მოუბოდიშა მომხდარის გამო გოტემის მოსახლეობას, თუმცა მათ დახმარება ჯერაც არ მიუღიათ არც ხელისუფლებისგან და არც ბეტმენისგან.

ამერიკელმა სასამართლოში იგუანის შეყვანა ცადა

რენტგენის აპარატის დახმარებით ამერიკის კოლორადოს შტატის პოლიციამ მოახერხა, სასამართლო სხდომაზე იგუანის მოხვედრა აღეკვეთა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი პრესა ავრცელებს.

– სასამართლოს შენობაში მხოლოდ საყელურითა და საბელით აღჭურვილ ცხოველებს აქვთ შესვლის უფლება, მაგრამ არ იგუანებს, – ნათქვამია ბოულდერის ოლქის შერიფის ტვიტერში გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ამავე დროს, შერიფის პრესმდივანმა კერი ჰევერფილდმა განაცხადა, რომ მამაკაცი, რომელიც სასამართლო სხდომაზე იგუანის შეყვანას ჩანთით ცდილობდა, შიგნით არ შეუშვეს. მიზეზის შესახებ, თუ რატომ სურდა მამაკაცს სასამართლო სხდომაზე იგუანით შესვლა, არაფერია ნათქვამი.

შოტლანდიაში ყველაზე მოსვირინგებული პენსიონერი გარდაიცვალა

შოტლანდიაში გარდაიცვალა ტომ ლეპარდი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მოსვირინგებულ პენსიონერად იყო აღიარებული.

ლეპარდი გარდაიცვალა მოხუცებულთა თავშესაფარში, რომელიც შოტლანდიის ქალაქ ინვერნესში მდებარეობს. მამაკაცმა სახელი გაითქვა სვირინგის წყალობით, რომელიც ლეოპარდის შეფერილობას ჩამოჰგავდა და რომლითაც პრაქტიკულად მთელი სხეული ჰქონდა დაფარული.

პენსიონერმა დაახლოვებით 5,5 ათასი ფუნტი დახარჯა სხეულის მოსვირინგებაზე. მისი თქმით, მას ეს არასოდეს უნანია, ვინაიდან სვირინგებს მისთვის, ამავე დროს, შემოსავალიც მოჰქონდა. ლეპარდი სხვადასხვა გამოფენასა და ღონისძიებაზე გამოდიოდა.

მსოფლიოში ყველაზე მოსვირინგებულ პენსიონერად ის 2016 წლის მარტში აღიარეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ამერიკელმა ქალმა შვილი პუმას გამოსტაცა

ამერიკელმა ქალმა თავისი ხუთი წლის შვილი პუმისგან იხსნა. ინციდენტი კოლორადოს შტატის პიტკინის ოლქში საღამოს საათებში მოხდა.

ქალმა, რომლის ვინაობა არ სახელდება, ადგილობრივ პოლიციას განუცხადა, რომ მისი ხუთი წლის შვილი უფროს ძმასთან ერთად ქუჩაში თამაშობდა, როდესაც ყვირილი შემოესმა. ამის შემდეგ ის ქუჩაში გავარდა და ბავშვი მტაცებელს ბრჭყალებიდან გამოსტაცა. მამამ ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანა. მას დაზიანებები მიყენებული აქვს სახის, თავისა და კისრის არეში. ამჟამად ბავშვის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ამ ინციდენტის შედეგად დედამ უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო. მას სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და სახლში გაუშვეს. ოლქის შერიფის თანაშემწემ ბავშვზე თავდამსხმელ ცხოველს მიაგნო და მოკლა.

პუმები, სხვა მსხვილი კატისებრთა ოჯახის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, იშვიათად ესხმიან თავს ადამიანებს. ბოლო მსგავს შემთხვევას ადგილი 2015 წლის ივლისში ჰქონდა, როდესაც პუმა თავს დაესხა მამაკაცს, რომელიც მდინარეზე თევზაობდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სჯანგოხდი

1. ნაბიჯი ბალეტში; 2. მაგარმერქნიანი ხე; 3. „... გეშინია, დედა!“; 4. სოფელი კასპის რაიონში; 5. ჩვენებითი ნაწილაკი; 6. სუსტი არაყი; 7. ... კაპონე; 8. ქოჩრიანი თუთიყუში; 9. აფრიკული შხამიანი ბუზი; 10. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 11. ... მატიე; 12. ცეცხლის ანადენი; 13. პირუტყვის საჭმელი; 14. ამაღლებული ადგილი დედამიწაზე; 15. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 16. მღვდლის სამოსის ნაწილი; 17. ებრაელთა ხმიადი; 18. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 19. ძვირფასი ქვა; 20. ბგერიდან ბგერაზე მდორე გადასვლა; 21. ადამიანის ენერგოველი; 22. მამალი ცხენი ან კვიცი; 23. ერთგვარი ეტრატ-ხელნაწერი; 24. ნიღბებიანი საზეიმო სანახაობა; 25. პირის ღრუს ორგანო; 26. ფრანგული მხიარული ცეკვა; 27. რისამე განვითარების პროცესი; 28. ქალის სამოსელი; 29. მოდავე მხარეთა მიმართ თანაბარი დამოკიდებულება; 30. კ.კავსაძის კინოროლი; 31. ზურიკელას ძაღლი; 32. პოლიტიკური გაერთიანება.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფესი; 2. ობი; 3. პანიტერია; 4. მზისა; 5. ქარაგმა; 8. ლირა; 9. ჰიგინსი; 10. ტალახაძე; 12. არემჯი; 13. ალაფი; 15. ღვინო.

თარაზულად: 1. „ფიდელიო“; 6. მალვაზია; 7. სალდო; 10. ტვინი; 11. ბრასი; 13. ატილა; 14. ბაღჩა; 16. „მომა“; 17. აბატისა; 18. ბინომი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პორტერი; 2. ხამურაბი; 3. ალტრუიზმი; 4. თარხანი; 5. ფარენგეიტი; 10. ფრახტი; 11. ალავერდი; 12. „ჩარდაში“; 13. კურიოზი; 16. ავსტრალია; 17. ალკოჰოლი; 19. ეჩხაბერი; 21. „კოლტი“; 23. კლიშე.

თარაზულად: 6. როინაშვილი; 7. „პალიტრა“; 8. ვეზირი; 9. მურყვამი; 14. სურგატი; 15. დარდანელი; 18. პადრე; 20. პლუტოსი; 22. ციკლონი; 24. ნოველა; 25. კლარნეტი; 26. ბუშელი.

თამო ვაშალომიძე შელებეს



მოდელი თამო ვაშალომიძე სილამაზის კონკურსის „მის ბიკინი 2016“-ის სახეა. მოდელმა სპეციალურ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა და სარეკლამო კამპანიაშიც აქტიურად ჩაერთო.

სილამაზის კონკურსის მოახლოებასთან ერთად, თბილისში სარეკლამო ბანერები გამოჩნდა, რომლებზეც მოდელია აღბეჭდილი.

პეკინის გამზირზე გაკრული თამო ვაშალომიძის ბანერი შავი საღებავით შელებეს. დამნაშავის ვინაობა უცნობია, თუმცა მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული კამერებიდან უკვე ამოღებულია ჩანაწერები და სულ მალე დამნაშავის იდენტიფიცირება მოხდება.

ხოსე კარერასმა ქუთაისში იმღერა

ცნობილმა ესპანელმა ტენორმა ხოსე კარერასმა კარიერა დაასრულა და საქართველოს „მსოფლიოს ფინალური ტურის“ ფარგლებში ეწვია. საოპერო მომღერალმა ერთ-ერთი ბოლო კონცერტი საქართველოში ჩაატარა.

ხოსე კარერასისა და თბილისის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი ქუთაისში, დავით აღმაშენებლის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა და მას დირიჟორმა დავიდ ხიმენეს კარერასმა უდირიჟორა. კონცერტში მონაწილეობდა ქართველი სოპრანო სალომე ჯიქია, რომელმაც ცნობილ ტენორთან ერთად რამდენიმე დუეტი შეასრულა.

– ვფიქრობ, ჩვენ იდეალურად ავირჩიეთ ლოკაცია ამ კონცერტისთვის, რადგან ქუთაისი ცნობილია კლასიკური მუსიკის თავისი კულტურული ტრადიციებით, – განაცხადა მიხეილ გიორგაძემ.

ხოსე კარერასის კონცერტი მთავრობის მიერ ინიცირებული მასშტაბური პროექტის ფარგლებში ეროს რამაზოტის, „მარუნ 5“-ისა და რობი უილიამსის კონცერტების შემდეგ გაიმართა.

სამგლოვიარო განცხადებები

მანანა გაბუნიას მოგონება

რამდენადაც დიდი ბედნიერებაა ღირსეული ადამიანის გვერდით ყოფნა, ურთიერთობა მასთან, ამდენადვე მძიმეა მასთან განშორება. შეუვსებელია დანაკლისი.

დღეს, როდესაც 40 დღე გასრულდა და შენი ლამაზი სული მარადისობას უერთდება, გვსურს, ხმამაღლა გითხრათ მადლობა, როგორც გამორჩეულ მეუღლესა და დედას იმ სამყაროსთვის, რომელსაც ქმნიდი ჩვენი ბედნიერი არსებობისთვის.

დიდი სახლის პატარა დიასახლისი, მოღიმარი მეგობარი და მასპინძელი, აერთიანებდი ყველასა და ყველაფერს, იყავი ჭკვიანი მრჩეველი და ჩვენი ოჯახის სიმშვიდის დამცველი, როგორც ექიმი კი – მაღალი პროფესიონალი.

დაუჯერებელია, რომ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. უშენოდ ყოველი წუთი აძლიერებს და ვიცით, კიდევ უფრო დიდი ტკივილით გააძლიერებს მონატრების განცდას.

შენ ხომ საოცარი სითბოთი და სიყვარულით გვავსებდი და ჩვენც სიხარულით გიბრუნებდით ამ განცდას... შვილის შერქმეული სახელით – პატარა, მოგმართავდით და გეფერებოდით. ძალიან გიხდებოდა და მართლაც, გიფრთხილდებოდით, როგორც პატარას. ვიყავით ერთად... სულ ერთად! ძალიან გვაკლიხარ!

გვიყვარდი... გვიყვარხარ ძლიერ, ძლიერ... და თუმცა გრძნობის, განცდის შეკავება გვიჭირს, სინამდვილეს დამორჩილებულნი, თავშეკავების მაგალითად უნდა ვიქცეთ შენს მოსაწონად, რომელმაც 13 წელი შეუდრეკლად დაითმინე მძიმე განსაცდელი.

საქართველოსა და ინგლისში ვრჩებით ორი მამაკაცი შენი ნიჭით შექმნილ გარემოში. ვიცით, თვალს გვადევნებ, გვხედავ და თუმცა იცი, რამდენად ძვირფასი და შეუცვლელი ხარ ჩვენთვის, მაინც გიმეორებთ – უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გავუფრთხილდებით შენს სიყვარულს, სახელს, ოჯახურ სითბოსა და კერას.

შენი საყვარელი მეუღლე და შვილი
ნუგზარ და ირაკლი ფიფიები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

გოდერძი ჩოხელის შვილს დახმარება სჭირდება



მწერლისა და რეჟისორის გოდერძი ჩოხელის შვილს, 28 წლის ნიკა ჩოხელს, დახმარება სჭირდება. ნიკა რამდენიმე თვის წინ მომხდარმა ავტოსაგზაო შემთხვევამ საწოლს მიაჯაჭვა და ახლა მას უცხოეთში მკურნალობა ესაჭიროება.

შემთხვევა ჟინვალში, სამხედრო გზაზე მოხდა. ავტომანქანაში ისხდნენ გოდერძი ჩოხელის ორივე შვილი, ნიკა და ლუკა და მათი ნათესავი.

აი, რას ამბობს გოდერძი ჩოხელის მეუღლე ნინო მელაშვილი:

– შემთხვევით ჟინვალიდან მომავალი ჯიპის ტიპის ავტომანქანა გზაზე მოცურდა და იმ ავტომანქანას მსუბუქად დაეჯახა, სადაც ჩემი შვილები ისხდნენ. ამის შემდეგ ნიკა, ლუკა და ჩემი ძმისშვილი მანქანიდან გადმოვიდნენ და ჯიპის მძღოლსა და მგზავრებს ესაუბრებოდნენ. ისინი მოყვარული ალპინისტები იყვნენ. მათთან ნიკა და ჩემი ძმისშვილი საუბრობდნენ, ხოლო მეორე ჩემი შვილი იქვე ბორდიურზე იდგა. ზუსტად ამ დროს გზაზე მეორე ჯიპი მოსრიალდა და ჩემი შვილი ხევში გადაისროლა. ალპინისტებმა ნიკას ძებნა დაუწყეს, არც კი იცოდნენ, ცოცხალი იყო თუ არა. როცა იპოვეს, ნიკა კონტაქტური იყო, თუმცა ვერ ინძრეოდა.

ჩემი შვილი დუშეთის რაიონის სამაშველოსა და ალპინისტების დახმარებით ხევიდან ამოიყვანეს. ამ ამბის მომსწრე ლუკა შოკში ჩავარდა, იმხელა სტრესი მიიღო. ავარიის შედეგად ჩემს ძმისშვილსაც ფეხი მოსტყდა. თბილისისკენ წამოიყვანეს და თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში მოათავსეს. ნიკას მკერდის ძვლები და თავი ჰქონდა გატეხილი, ფეხებში მგრძნობელობა ჰქონდა დაკარგული, მთელი სხეული – დაჟეჟილი.

მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. ოპერაცია ცნობილმა ქირურგმა გოგი მაღალაშვილმა გაუკეთა. ჩემს შვილს ოპერაცია სახელმწიფო პროგრამის დახმარებით ჩაუტარდა. ამჟამად ნიკას ფეხებზე შეგრძნება თანდათან უბრუნდება. მიხარია, რომ გადარჩა, მაგრამ ნიკას ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაცია აუცილებლად სჭირდება.

* * *

ოჯახის მეგობარი ლია თუშური კი აცხადებს, რომ ნიკას სასწრაფოდ სჭირდება საზღვარგარეთ მკურნალობა, რისი საშუალებაც ოჯახს არ გააჩნია:

– ნიკა რამდენიმე თვის წინ მთიულეთში ავარიაში მოყვა. უკვე რამდენიმე თვეა მისი ოჯახის წევრები და ახლობლები იმედით მოელიან, რომ ყველაფერი კარგად დასრულდება და ნიკა კვლავ გაივლის. მას სასწრაფოდ სჭირდება საზღვარგარეთ მკურნალობა. მის სახელზე ქართუ ბანკში გახსნილია ანგარიში ლარში, დოლარსა და ევროში.

ვერა წიგნაძე გარდაიცვალა

91 წლის ასაკში ლეგენდარული ქართველი ბალერინა, ქართული ბალეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვერა წიგნაძე გარდაიცვალა.

შარშან ვერა წიგნაძის 90 წლის იუბილე გრანდიოზული გალაკონცერტით აღინიშნა, რომელშიც მსოფლიოში მოღვაწე ცნობილმა მოცეკვავეებმა მიიღეს მონაწილეობა.

უხუცესი ბალერინა კულტურის მინისტრმა საბალეტო ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ხელოვნების ქურუმის წოდებით დააჯილდოვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

საზოგადოება

ახალგაზრდა ქალს ყოფილმა ქმარმა სასტიკად სცემა

ყოფილმა ქმარმა ბათუმში 27 წლის ქალს სასტიკად სცემა და დაჭრა. დაზარალებულს თავის არეში ბასრი საგნით მრავლობითი დაზიანებები აქვს მიყენებული. ქალს მოტეხილობა აღენიშნება ხელის არეში, მთელ სხეულზე კი ცემის შედეგად მრავლობითი დაჟეჟილობები აქვს.

შემთხვევა 10 ივნისს, საღამოს, ბათუმთან ახლოს, ჩაისუბანში მოხდა, როცა ნინა ტ. მის ყოფილ ქმარს არკადი ტ.-ს გარდაცვლილი მეზობლის ოჯახში სამძიმარზე გაჰყვა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ნინა ტ-მ განუცხადა, ყოფილმა ქმარმა მოტოციკლის მოშორებით გაჩერება შესთავაზა იმ მიზეზით, რომ არ უნდოდა, მეზობლებს მასთან ერთად ენახათ.

– სადაც ვცხოვრობდით ხუთი წელი, იქ გარდაიცვალა მეზობელი. დამირეკა ყოფილმა ქმარმა და მითხრა, რომ გამომივლიდა და გარდაცვლილის ცოლის სანახავად წამიყვანდა. ვმეგობრობდი იმ ქალთან და მეც დავთანხმდი. სამსახურის მერე გამომიარა მოტოციკლეტით და წავედით. სახლამდე მისულებიც არ ვიყავით, მითხრა, რომ არ მინდა ერთად დაგვინახონ, გზიდან გადავუხვევ, დავაყენებ მოტოციკლეტს და ცალ-ცალკე ავიდეთო. გადავუხვიეთ სადღაც მიფარებულ ადგილზე, გადმოვიდა მოტოციკლეტიდან, პარკში გახვეული რაღაც ნივთი ამოიღო, თურმე ეჩო ჰქონია. მახსოვს მხოლოდ ერთი დარტყმა თავში და მეტი არაფერი. ჩემი გათიშვის მერე გაუგრძელებია თავში ეჩოს ჩარტყმა და ცემა. მარჯვენა ხელი მაქვს მოტეხილი, მარცხენა ხელზე ჭრილობა მაქვს, თავში ძვალი მაქვს გაბზარული, ტვინის შერყევა მაქვს, ძალიან ბევრი, 15-ზე მეტი ჭრილობა მაქვს თავზე, მთლიანად სხეული ჩაშავებული მაქვს. როგორც ჩანს, ძალიან მცემა და დამაგდო იქ ეკლებში, – აღნიშნა ნინა ტ-მ.

მისივე თქმით, შემთხვევა საღამოს 23:00 საათზე მოხდა და უგონო მდგომარეობაში დილით 10:00 საათისთვის გამვლელმა აღმოაჩინა. ნინა ტ.-ის თქმით, მის დასაკითხად პოლიცია იყო მისული, ვისგანაც გაიგო, რომ ყოფილმა ქმარმა არკადი ტ.-მ სარფის საზღვარი მის მიმართ განხორციელებული ძალადობიდან საათ-ნახევრის შემდეგ დატოვა.

ნინა ტ. ქმარს ერთი წლის წინ გაშორდა და სამ მცირეწლოვან შვილთან ერთად საცხოვრებლად ე.წ. ბენზეს დასახლებაში მშობლებთან გადავიდა. დაზარალებული ქალბატონი ამბობს, რომ 14 წლის იყო, როცა მისმა ქმარმა მოიტაცა. მათ 11, 8 და 6 წლის შვილები ჰყავთ.

ინტერპრესნიუსი

TV პროგრამა

ოთხშაბათი
20 ივნისი

07.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.15** "მოამბე" **08.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტრო ვეტრინე**" **14.05** "XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** "ევრო – **2016**" **16.45** "ეპოქის ფრაგმენტი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.00** "კომუნიკატორი" **19.25** მხ/ფ "**ბერის დღე**" **22.00** ევრო-**2016. 22.50 ფეხბურთი** ევრო **2016. 01.00** ევრო-**2016.** გადაცემა **01.25** მხ/ფ "**ახალი დღე**" **03.00** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **03.30** "XX საუკუნე"

08.00 დ/ფ "წელიწადის დრონის ფენომენი" **09.00** მხ/ფ "**ბულის მოგზაურობა**" **10.30** დ/ფ "ფლორენცია-ტოსკანა" **11.00** ქართ. მხ/ფ "**დღე ჟანასკნელი- დღე პირველი**" **12.30** დ/ფ "ტაილანდი" **13.00** დ/ფ "ჩირლიდრენები" **14.00** "ეპიცენტრი" **15.00, 18.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "გენერალი კანჯი იშივარა" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **22.50 ფეხბურთი** – ევრო **2016: რუსეთი – უელსი 01.00 რაგბი** – მსოფლიო ჩემპიონატი

06.00, 14.40 სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.30** მხ/ფ "**მოჩვენება**" **02.50** მხ/ფ "**მკვლელის ტყვია**" **04.15** მხ/ფ "**კეთილი ჯონი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**იდდური საბა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** X-ფაქტორი **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ფარსკვლავური ოფები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**ყარგი ცოლი**" **11.00, 2.50** სერ. "**ბრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სამეფო ყარის თამაშები**" **0.00** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორგლებზე**" **1.00** მხ/ფ

06.10 მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**პირველი მერსხალი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ვალერიანი-ბალზამინა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.45** ველური ბუნება **16.15** სპეციტაკლი "**დარისპანის ბასაჭირი**" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ამაღლება**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ **00.25** დ/ფ "წმინდა აღმსარებელი ამბროსი ხელაია" **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ბერძენი ქალი**" **9.25** ევროპის ჩემპიონატის დღიურები **10.05** სერ. "**ბატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00** სერ. "**ბულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოუერი ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**სახიფათო ქალი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**უცხო შინაურებს შორის**" **23.30** სერ. "**ჯუნა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 ივნისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.1790
- ევრო — 2.4512
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1090
- 100 რუსული რუბლი — 3.3368

ამინდის პროგნოზი 20 ივნისისთვის

17 ივნისიდან

ქართული ჯადოსნური ზღაპრები

მაგარი ყდა. 200 ფერადი გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

21 ივნისიდან

ალექსანდრე დიუმა

სამი მუშკეტერი

მთელი რომანი ერთ წიგნში!

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

ანეკდოტი

•••

კაცი მოკვდება, საიქიოს კარს მიადგება. გაიხედავს, სამოთხეში ყველა დგას და ლოცულობს. გაიხედავს ჯოჯოხეთისკენ და ყველა ერთობა, რასაც უნდა, იმას აკეთებს. მანაც ჯოჯოხეთი მოითხოვა. მცირე ხანში თვალი გაახილა და ხედავს, დიდ მოთუხთუხე ქვაბში გდია, თავზე ეშმაკი ადგას, დიდი ჩამჩით ურევს და დამცინავი ღიმილით ეუბნება:

– მოგეწონა რეკლამა?

•••

მამა ბავშვს ძილის წინ ზღაპარს უყვება:

– დათვი ველოსიპედით მისეირნობდა, უკან კატა ეჯდა, უკან კი საჰაერო ბურთზე შემომჯდარი კოღო მიჰყვებოდათ...

ბავშვმა მამას მოყოლა შეაწყვეტინა და ეკითხება:

– მამა, შენ რა, დაბოლილი ხარ?

•••

ტურისტების ჯგუფი მთების სილამაზით მოიხიბლა. რუსმა ტურისტმა დაიყვირა:

– ია წებია ლუბლიუუ!

ექომ ბანი მისცა:

– ლუბლიუუ..უბლიუ..უბლიუუუ...

დაიყვირა ამერიკელმა:

– აი ლავ იუუუ!

ექო:

– ლავ იუ.. ლავ იუ..იუუუ...

გასძახა ჩინელმა:

– სუნ ჩინ ჯენ ხან!

ექო:

– რაიო.. რაიო.. რაიოოო?

•••

ღამე ქმარმა ცოლს გასძახა:

– ქალო, გადმოწექი ჩემთან.

– რას ამბობ, კაცო, ბავშვებს გაეღვიძებათ.

– რა იყო, შე შობელძაღლო, ტრაქტორი კი არ უნდა დავქოქო.

•••

კაცმა ლოტოში დიდი თანხა მოიგო. სახლში მისულმა ცოლს ახარა და თანაც მიაყოლა:

– ქალო, ტანსაცმელი ჩაალაგე!

ცოლს გაუხარდა, დასასვენებლად მივდივართო და ეკითხება:

– რომელი, კაცო, ზამთრისა თუ ზაფხულისა?

– ორივე და დაახვიე აქედანა!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველომ ტონგას ბოლო წუთზე მოუგო

საქართველო-ტონგა 23:20

საქართველო: კვირიკაშვილი (მალაღურაძე 73), მჭედლიძე (ფრუიძე 70), კაჭარავა, შარიქაძე, თოდუა, ხმალაძე, ბეგაძე (ხუციშვილი 74); ჟვანია (ასიეშვილი 46), ბრეგვაძე (მამუკაშვილი 63), ფეიქრიშვილი (მირცხულავა 46), ჩხაიძე (ჭეიშვილი 70), ნემსაძე, სუთიაშვილი, თხილაიშვილი (ლომიძე 59), ბიწაძე

ტონგა: ჰალაი ფონუა, კატოა, მაჰაფუ, ფოსიტა, იონგი, ჰალა (ჰაკალო 37), ტაკულუა (ლუაფე 66); ლელეი, ტაიონე (ლანგი 57), ფალეტაუ (საკალია 43), ჰოფაი (ფონუა 57), ფალე აფა, ლატუ, რემი, ტაუ

ბორჯღალოსნები წარმატებით აგრძელებენ ოკეანეთის ტურნეს. მეორე ტესტ-მატჩში მათ ტონგელები 23:20 დაამარცხეს და ზღვის არწივებთან ურთიერთშეხვედრების ისტორიაშიც პირველად გავედით წინ – 3:2

მატჩში საქართველო მერაბ კვირიკაშვილის ჯარიმით დაწინაურდა, თუმცა იქვე ლელო მიიღო და გარდასახვაც ზუსტი იყო. მე-19 წუთზე საქართველომ საკუთარი დერეფანი წააგო, მაგრამ იქვე ტონგელებიც შეცდნენ, ლაშა ხმალაძემ ოვალს ფეხი წაკრა, აიტაცა და შეუტია, მას ანტონ ფეიქრიშვილი და ლაშა ბეგაძე წაეხმარნენ, ბოლოს ბრძოლა ზედ ლელოს ხაზზე გაჩაღდა, სადაც საქმეში კაჭარავა ჩაერთო და ბურთი ლელოში დაამიწა, ხოლო კვირიკაშვილმა გარდასახა, რასაც მეკომ მალევე კიდევ 3 ქულა ჯარიმით მიამატა – 13:7.

ტაიმის ბოლომდე ერთი ჯარიმა ტონგელებმაც ზუსტად დაჰკრეს და შესვენებაზე 3-ქულიანი ჰანდიკაპით გავედით – 13:10.

მეორე ტაიმის დასაწყისში დამრტყმელთა დუელი გაგრძელდა და მეკომ უპირატესობა გაზარდა, მაგრამ ბოლო სიტყვა ისევ ტონგელთა დამრტყმელმა თქვა – 16:13.

მეორე ნახევარში, მიუხედავად იმისა, რომ თამაში მნიშვნელოვნად ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა, ქულებში გარდასახვა ჭირდა. მერაბ კვირიკაშვილს კიდევ ორჯერ მიეცა ჯარიმით ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, რომელიც სამწუხაროდ არაზუსტი იყო.

მალევე ზღვის არწივებმა კიდე ერთი ლელო დადეს და ისედაც დაძაბულ მატჩს ინტრიგა კიდევ შემატეს 16:20. აშკარა იყო, რომ ტონგელებს მსოფლიო თასის შემდეგ ბორჯღალოსნებზე რევანში სურდათ. თუმცა ვიდრე ლელო დაიდებოდა მოედანზე კაცნაკლულნი დავრჩით. საქმე ის გახლდათ, რომ გვერდითმა არბიტრმა მთავარ მსაჯს უთხრა, თამაზ მჭედლიძემ მეტოქეს ხელი უთავაზაო, მსაჯმაც ყვითელი ანახა. განმეორებაზე გამოჩნდა, რომ მსგავს ადგილი ნამდვილად არ ჰქონია, თუმცა მსაჯის გადაწყვეტილება კანონია და მჭედლიძემაც დატოვა მოედანი. 10 წუთის შემდეგ კი მის ნაცვლად მატჩში გიორგი ფრუიძე ჩაერთო.

მატჩის ბოლო წუთები ყველაზე დაძაბული გამოდგა. ვუტევდით და ყველაფერს ვაკეთებდით, რომ ლელო დაგვედო. რამდენიმე ტექნიკურ წუნსაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს უკვე, ალბათ, დაღლილობითა და კლიმატური პირობებითაც იყო გამოწვეული. საბოლოოდ უკვე გაწითლებულ დროზე მსაჯმა ჩვენი შერკინება რამდენჯერმე ახეირა, ტონგელები კი ჯარიმდებოდნენ შერკინებაში. ჩვენც შეტევა ზედიზედ რამდენიმე შერკინებიდან ავიტაცეთ. ფაზებით აიღე და მიეძალეს მივმართეთ და საბოლოოდ რაქიდან ბურთს დავით კაჭარავა დაეუფლა, რომელიც ლელოში შეძვრა, დუბლი გაიფორმა და გამარჯვებაც მოიტანა – 23:20.

ამრიგად, ისტორიული ოკეანეთის ტურნეს მეორე ტესტში გავიმარჯვეთ. პირველ ტესტში სამოასთან 19:19 დავზავდით.

სერიის ბოლო რკენა, რომელშიც მასპინძელ ფიჯის ვეთამაშებით, 24 ივნისს საქართველოს დროით დილის 7 საათზე გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

შვლის ნუკრს აბაზანა მოეწონა

აშშ-ში შვლის ნუკრმა საცხოვრებელ ბინაში შეაღწია და, როგორ ჩანს, შეეცადა, აბაზანაში ებანავა.

ინციდენტი კოლორადოს შტატის ჯეფერსონის ოლქში მოხდა. სახლის პატრონებმა, იმის შიშით, რომ შვლის ნუკრი არ დაშავებულიყო, პოლიცია გამოიძახეს.



შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა გამოარკვიეს, რომ ცხოველი დაშავებული არ ყოფილა.

– გზააბნეულმა შვლის ნუკრმა ევეგრინების სახლში შეაღწია, იფიქრა, რომ ბანაობის დროა და აბაზანაში ჩახტა, – განაცხადა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელმა.

პოლიციელებმა შვლის ნუკრი სააბაზანოდან გამოიყვანეს და იქვე სახლის მახლობლად გაუშვეს.

კანადელმა ლატარიაში 55 მილიონი მოიგო

კანადელმა ეროვნულ ლატარიაში ლოტო მაქსი ჯეკპოტი მოხსნა. მოგებულმა თანხამ 55 მილიონი კანადური დოლარი (დაახლოებით 43 მილიონი აშშ დოლარი) შეადგინა. იღბლიანი ბილეთი ონტარიოს პროვინციის ქალაქ ტორონტოში იქნა შეძენილი.

გარდა ამისა, კიდევ ორმა ბილეთმა მოიგო პრიზი მაქსმილიონი, რომელიც 1 მილიონ კანადურ დოლარს (დაახლოებით 775 ათასი აშშ დოლარი) შეადგენს. ერთ-ერთი მოგება ორ მოთამაშეს შორის თანაბრად განაწილდება. ეს ბილეთები პროვინცია კვებეკსა და ონტარიოში იქნა შეძენილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოხვოხდი



თარაზულად: 6. დიდი ციმბირული ირემი; 7. გეომეტრიული სხეული; 8. საწერად დამუშავებული ტყავი; 10. სიმებიანი საკრავი; 11. სარტყელი მუსიკალური საკრავი; 13. შაქრის ლერწმის მჭრელი; 16. მქუხარე ტაში; 19. რისამე ნაირსახეობა; 20. მექანიკის ნაწილი.

შვეულად: 1. იატაკის საცხი; 2. ზეგანი; 3. თითის ამოკვრით უხემოდ დაკვრა; 4. წყალხმელეთა ცხოველი; 5. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 9. სამხედრო ჩინი; 12. ხეივანი, პროსპექტი ესპანეთში; 14. მაწვნის მსგავსი პროდუქტი; 15. ყვავილი; 17. თვალის ფერადი გარსის ანთება; 18. საჰაეროსთან დაკავშირებული წინსართი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ